ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშა

832
1960

"NOTRE DRAPEAU"

ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ.

N° 32

Directeur: MICHEL STOUROUA.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ბ. ს.—ქამი საბედისწეროᲐ.
რ. არსენიძე—ზოგიერთი ასპექტი საერთაშ. მდგომარეობისა.
გ. ᲞᲐᲠᲔᲚᲘ—ᲘᲝᲐᲚᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ.
ბ. ს.—საქართველოᲐ ოკუპაციის ქვეშ.
ბ. სარჯვეladze—მეგობრის ხსოვნას.
ხ. ას—ნი—საშა ქოᲠქიას ხსოვნას.
XX.—ქართულ გაეᲠთ. ᲔᲠᲝᲐᲕ. საბჭᲝს დამფუძნებელი ყრილობა.
რ. არსენიძე—იმპერ. ერთა ძმობის და საბჭ. პატ. საფარ ქვექ.
ლეისპიᲠელი—გმირი-პოეტი.
ბ. ბადრიძე—ხრუშჩოვი ამერიკაში.
ნ. ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ. ნ. ანთაძე—ბ. რ. გაბაშვილის ნწიგნის შესახებ.
წერილი რედაქციის მიმართ!
პარტიული ცხოვრება.
ქართველი დედა—ბედის ჩიᲕილი. და სხ. და სხ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. Paris.
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲫᲐᲛᲘ—ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ.

ხრუშჩოვმა მიაღწია თავის მიზანს და სახელმწიფონიც შედიან უდიდეს და გარდამწყვეტ მოლაპარაკების სფეროში, უაღრესად მნიშვნელოვან ურთიერთ დამოკიდებულებაში, შედეგები შეიძლება გახდენ საბჭდისწერო თავისუფალ ერთა სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებისთვის, მათი ცივილიზაციისთვის.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ რუსულ ბოლშევიზმს თავის მიზნებისთვის არასდროს უღალატნია, მისი სურვილი და მისწრაფება სხვა ერებზე საკუთარი სისტემის გასავრცელებლად არ შენელებულა, ხოლო გზები და საშუალებები იცვლება გარემოების მიხედვით და ღებულობს სხვა სახეს.

საბჭოთა დიპლომატიას თავის აღმავალ გზაზე საგარეო ფაქტორები ხელს უწყობენ და მით შინაურ ეკონომიურ კრიზისების დასაძლევად საბჭოს მთავრობას ეხმარებიან.. გავიხსენოთ რაპალო და უმთავრესად უკანასკნელ ომიდან დატოვებული შედეგები, როცა თავისუფალი კაცობრიობა დასნეულებული, შინაური ეკონომიურ ცხოვრების ფეხზე დაყენებაში გართული, მოსკოვს თანდათანობით უთმობს მნიშვნელოვან პოზიციებს და აძლიერებს საბჭოთა იმპერიალიზმს. მოსკოვიც ევროპის კარებს ადგება. გამოფხიზლებული, მარშალის გეგმით წელში გამართული ევროპა თავდაცვის ორგანიზაციას აწყობს, და ამერიკის მეთაურობით თავისუფალი ქვეყნები ცდილობენ დამპყრობელ პოლიტიკას წინ აღუდგენ. ცივი ომის პერიოდში მოსკოვი რწმუნდება, რომ ახალი პოზიციების აღება სტალინური მუქარით და იარაღის ჟღარუნით შეუძლებელია. იწყება ხანა ხრუშჩოვის, ახალი სტრატეგიული შემოვლით, თანაარსებობის განახლებული დროშით, ღიმილითა და ტკბილი სიტყვებით. კაცობრიობის წინაშე იჭრება საფრთხე ჯერ მალული, საფრთხე უფრო საშიში ვინემ არასოდეს. რადგან კრემლს არაფერი დაუთმია ყველა საერთაშორისო მოლაპარაკების დროს და იგი არც დღეს ფიქრობს მნიშვნელოვან საკითხში რაიმე დათმობის გაკეთებას.

ხრუშჩოვი კვალ და კვალ მისდევს ლენინის ანდერძს, როცა უკანასკნელი ითვალისწინებდა, რომ მძლავრ მოწინააღმდეგის დამარცხება—საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვება შესაძლებელია მოქნილი მანიოვრით დროგამოშვე-

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით კომპრომისების გაკეთებით, სხვა ერებში სოციალურ წინააღმდეგობათა დაჯახებით და დასუსტებულ ნაწილებზე დაუფლებითა და გაბატონებით.

ამიტომაც ხრუშჩოვი დასეირნობს დასავლეთში. კაპიტალისტებს პირდება კოლოსალურ დანაკვეთებს და სავაჭრო ოპერაციების გაჩაღებას, მუშათა კლასს არწმუნებს საბჭოთა სამოთხის არსებობაზე, გზა-აბნეულ ინტელიგენციას კომუნისტურ ბედნიერებისკენ ლტოლვაზე, ხოლო აზია-აფრიკის ჩამორჩენილ ქვეყნებში უშვებს აგიტატორებს გაძვალტყვევებულ საბჭოთა ხალხების ოფლით მონაპოვარ დოვლათით—სადაც ეკონომიური შემოტევით იგი ცდილობს თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნების გარშემორტყმას. ხოლო, რადგან გიგანტიურ ოპერაციას სჭირდება საბჭოთა მეურნეობის გაძლიერება, ხრუშჩოვი ცდილობს დასავლეთის ნდობა დაიმსახუროს, იქიდან რესურსების მიღებით თავის შვიდწლედიანი გეგმის განხორციელება უზრუნველყოს. ამგვარად საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა განუყრელია. მისი სტრატეგია ყველა ფრონტებზე ერთ მიზანს ემსახურება—მოსკოვის ბატონობის მოპოვებას. ამ სამკაცდრო სასიცოცხლო ჯიბრში—დასავლეთიდან გასულ წლის მანძილზე—კვლავ ხიდი გაიდვა ბოლშევიზმთან, კულტურულ გაცვლა-გამოცვლის სახით კვლავ ილიუზიების ტალღები გორდება. საბჭოთა იმპერიალიზმის ნამდვილი სახე შეუმჩნეველი რჩება. «დაძმობილება» უკუნებელ სენათ ედება თავისუფალ ქვეყნებს, ტოტალიტალურ რეჟიმის სუსხი ქარიშხალი დაჰკროლავს მის თავზე, ადამიანის და ერთა თავისუფლებას წალეკვით ეშუქრება

გვინდა ვიწამოთ, რომ თავისუფალ ქვეყანათა მესაჭენი, რომლებიც უსათუოდ გარკვეული არიან საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზნებში, შეეცდებიან მტკიცე პოლიტიკური საფარით წინ აღუდგენ აზიიდან მოწოლილ უდიდეს რეაქციას, რაც შეუძლებელია თუ მათ არ ამხილეს საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები, არ მოითხოვეს მის ფარგლებში მომწყვდეულ ერთა განთავისუფლება. რომლის გარეშე მშვიდობიანობის დამყარება ამ ქვეყნად ფუჭი ოცნებაა. თავისუფლება—ერთი და განუყრელია. მოსკოვის სამშვიდობო ჰანგები გარეთ—მხოლოდ ერთა დამონება შიგნით მუდმივი საფრთხის მატარებელია და მშვიდობიანობის დამყარებას შეუძლებლად ხდის.

ბ. ხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ასპექტი
საერთაშორისო მდგომარეობისა.

III

სამხედრო შეჯიბრი

სამხედრო მზადებაში უპირატესობა ყოველთვის იყო და დარჩება სპეციალობა დიქტატორული რეჟიმის. არ უნდა დაკვაციწყდეს, რომ დიქტატურა ეყრდნობა იარაღის ძალას. მამასადამე ჯარს და პოლიციას. ეს ასე იყო ჰიტლერის გერმანიაში, ასეა კომუნისტურ საბჭოთა ქვეყანაში. ერთიც და მეორეც ხომ ხალხის ნებისყოფით არ არის მოვლენილი, არამედ ხალხის ნების წინააღმდეგ, მაზე ძალადობით გაბატონებული.

სულ სხვაა დემოკრატია. იგი ეყრდნობა ხალხს, ხალხის სურვილს. ამიტომ არ შეუძლია ხალხის ნებისყოფას გადაუდგეს. ხალხი კი ყველგან მშვიდობის მოყვარეა, განსაკუთრებით დღევანდელ ატომურ იარაღების ხანაში. ამით ის გავლენას ახდენს თავის მართველებზე. საბჭოთა მეთაურებმა ეს კარგათ იციან და ამიტომ მოისურვეს მშვიდობის და გახიარაღების ლოზუნგი მიეთვისებიათ და საჯაროთ ექადაგათ. მაგრამ მათ ამავე დროს ხელი არ აუღიათ გაცხოველებულ სამხედრო მზადებაზე.

ნურავინ იფიქრებს თითქოს ხრუშჩოვის უკანასკნელი გამოსვლა ჯარის კონტინგენტის ცალმხრივათ შემცირების შესახებ, რაც უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად დაადასტურა, რაიმე მხრივ ამ მდგომარეობის შეტრიალებას მოასწავებდეს. მილიონ 200 ათასი კაცით შემცირება, თავის 3.623 000-ანი ჯარის ორი წლის განმავლობაში, თვით ხრუშჩოვის მტკიცებით, ოდნავათაც არ შეასუსტებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას და უპირატესობას. ერთი, რომ მას მაინც ყველაზე მეტი კონტინგენტი რჩება ჯარის, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოს. მეორე, ახალი საჭურველი, რაკეტები, ატომური ბომბები და სხვა, რომლებიც საბჭოებს ბლომათ მოეპოვება, მოითხოვს სპეციალისტებს და თითქმის მიუწდომელია და უხმარია 2—3 წლით გაწვეულთათვის. მაშასადამე არა ჯარისკაცთა რიცხვი, არამედ ტექნიკის დაუფლებული სპეციალისტები წყვეტენ ომის საკითხს. განთავისუფლებული ერთი მილიონი ჯარისკაცი კი ამავე დროს შუშახელს შეუვსებს საბჭოთა მეურნეობას. რომელსაც ამის დიდი საჭიროება აქვს 7 წლედის შესასრულებლად. ესეც მესამე მიზეზი ჯარის გაშვების. ამ რიგათ არის მხოლოდ შინაური ოპერაცია, ძალთა გადაჯგუფება, ანუ სამხედრო ორგანიზაციის ახალ საომარ ტექნიკასთან შეგუება და მეტი არაფერი. არავითარი დამოკიდებულება ამ რეფორმას განიარაღებასთან ან მშვიდობისმოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობასთან არა აქვს. ეს ასე გაიგო სერიოზულმა პრესამ და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დასავლეთში. და ამაში ისინი სავსებით მართალი არიან.

ამ წესით ინგლისიც ამცირებს თავის ჯარებს ზღვასა და ხმელეთზე და გაწვევის სისტემის მაგიერ დაქირავებული ჯარის შემოღებას აპირებს. მაგრამ იგი არ ცდილობს ვინმეს ამით თვალები აუხვიოს.

საბჭოთა პრესის გაცხარებული აგიტაცია კი ამ შემცირების გამო—მხოლოდ გულუბრყვილოთა მოსატყუებელი ხრიკია, მეტი არაფერი. დიქტატურის ბუნება და ძირითადი ტენდენცია ამით არ იცვლება. თითქმის 2 მილიონ ნახევარი ჯარით საბჭოთა კავშირს შეუძლია თავის მორჩილებაში იყოლიოს, როგორც შინ მომწყვდეული «ტყვე ერები», ისე აღმოსავლეთ ევროპის სატელიტი ქვეყნები, და თან დასავლეთსაც არ მოაკლოს მუქარა! ხრუშჩოვის სიტყვაში არც ეს ტენდენციაა გამოტოვებული. იგი აცხადებს, რომ ახალი გამანადგურებელი იარაღიც აქვს დამარაგებული, რომლითაც ყოველი დიდი ქვეყნისაც კი ერთი დაკვრით განადგურება შეუძლია...

ტოტალიტარულ დიქტატურას, რომელიც მთელი ერის დოვლათს, სამუშაო ძალას დაპატრონებია, შეუძლია მთელი 200 მილიონი ხალხის უნარი და შესაძლებლობა ერთიანად სამხედრო წარმოებას მოანდომოს და ამით დიდ ეფექტს მიაღწიოს. მას შეუძლია მეცნიერების ყველა მიღწევებიც სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენოს. ხოლო სხვა დარგები, ხალხის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი, სრულიად უყურადღებოთ დასტოვოს. ეს არ შეუძლია დემოკრატიულ ქვეყნებს, ყოველ შემთხვევაში არ შეუძლია მშვიდობიანობის ხანაში, ე. ი. როცა სისხლის მღვრელი ანუ «ცხელი ომი» არ სწარმოებს. ამიტომ დემოკრატიის საომარი მზადება დიდათაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გრძნობს ხალხი ომის საფრთხეს, გარედან თავდასხმის შესაძლებლობას, და თავის კეთილდღეობის, თუ კულტურულ და ადამიანურ ღირებულებათა და კარგვის საშიშროებას.

ამით აიხსნება, რომ დასავლეთის ყველა სამხედრო ბლოკები და კავშირები შედგენ საბჭოთა კომუნისტური საფრთხის თავიდან ასაშორებლად, რაც ჩვენ წინა წერილშიც მოვიხსენიეთ. ევროპის დღევანდელი საზოგადოებრივი სტრუქტურა, შინაგან ძალთა განწყობილება ისეთია, რომ გარეშე ასეთი საფრთხისა, იგი დიდ საომარ ხარჯებს არ გაიღებს. ხალხს ურჩევნია თავის შრომის და ენერგიის მოხმარა თავის კეთილდღეობისთვის. და დემოკრატიულმა მთავრობამაც, სურს თუ არა, ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

სულ სხვაა დიქტატურა, რომელიც ხალხზე არაა დამოკიდებული. მას შეუძლია დღესაც, მშვიდობიან ხანაშიც. ისე იმოქმედოს, როგორც ომიანობის დროს მოქმედებდენ მებრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოლი მხარეები. ფაქტიურათ დიქტატურა ყოველთვის საომარ მდგომარეობაშია, თავის ხალხთანაც და გარეშეებთანაც. სადაც შესაძლებლობა აქვს, ცეცხლის ალის გაჩაღებასაც არ ერიდება. ომი მისი სტიქიაა, მისი ძლიერების წყარო და ექსპანსიის იარაღია, რომლის გარეშე მას თავის არსებობა ვერ წარმოუდგენია.

მაგრამ ამას აქვს თავის საშიში მხარეც. დიქტატურა ადვილად ეყრდნობა თავის ჯარს, რომელსაც ის პრივილეგიებით ავსებს და თავის ერთგულზე უერთგულეს მეთაურებს აძლევს ხელმძღვანელად. სამაგიეროთ მას ეშინია შეაიარაღოს ხალხის მასსები, რომელნიც მისდამი სიმპატიით არ არიან განწყობილი, და პირიქით, მისგან თავის დახსნაზე ოცნებობდა. სამხედრო ტექნიკური სიძლიერე და კადრების ერთგულება ასეთ პირობებში კარგავს მეტწილად თავის მნიშვნელობას ხალხის სულიერი ანტიდიქტატორულ განწყობილების წინაშე. ხრუშჩოვს რომ ხალხის შეიარაღების არ ეშინოდეს, და მეორე მსოფლიო ომის მაგალითი მას თვალწინ არ ედგას, იგი აქამდე მთელ მსოფლიოს გახვევდა ომის ხანძარში.

აქედან წარმოსდგება საბჭოთა მეთაურების ტრაბახი თავის სამხედრო ძლიერებით, და მათი შიში ახალი მსოფლიო კონფლიქტის გაჩაღების წინაშე. აქედან წარმოსდგება სხვათა შორის მათი ცბიერი მშვიდობის მოყვარეობაც. მათ აქვთ მაღალი ტექნიკა, ყავთ ჯარი, დისციპლინით შეკრული, მაგრამ შეიარაღებული ხალხი, რაც დიდ ომებში აუცილებელია, დიქტატორებისთვის უფრო საშიშია, ვინემ მათი მოპირდაპირეებისთვის.

როგორც ხედავთ დიქტატურას აქვს თავის ძლიერი და სუსტი მხარეები საომარ სფეროშიაც.

ხოლო დემოკრატიაში ვხედავთ წინააღმდეგს. აქ როგორც ომის საფრთხე იწვევს სამხედრო მზადების გაძლიერებას, ისე ომიანობა აერთებს მთელ ხალხს და მთელი ენერგიით მიაქანებს მტრის დასამარცხებლად. გამონაკლისი იშვიათია. ამიტომ დემოკრატია ომში ბევრათ უფრო ძლიერია, ვინემ ომამდე მოსჩანს. ამით მიაღწია მან მსოფლიო ომებში გამარჯვებას. ამაშია მისი ძალა და იმედი.

ამით აიხსნება, რომ დასავლეთი მეტათ დამშვიდებული გულით უყურებს საბჭოთა იარაღის ყღარუნსაც და ხრუშჩოვის მძლავრ შეიარაღებაზე ტრაბახსაც. არც მისი მშვიდობიანი სიტყვები სწამთ, არც მისი ბუმბერაზული საჭურველის ეშინიათ. ომით, იარაღით დასავლეთის დანგრევა და დამორჩილება არავის შეუძლია. კომუნისტებს დარჩენიათ მხოლოდ ისევ მშვიდობიანი ეკონომიური კონკურენციით გაუმართონ ბრძოლა დასავლეთის ცივილიზაციას და იდეოლოგიური ცივი ომით შეეცადონ მასში რღვევის შეტანას. მაგრამ ეს საკითხი სხვაგვარად დგას და სხვა ასპექტში უნდა იქნეს განხილული. ამაზე შემდეგ.

რ. არსენიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი წერეთლის
სამოქალაქო პანაშვიდი

29 ნოემბერს 1959 წ. პარიზში, საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ და პარიზის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციამ, მოაწყვეს სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებული ირაკლი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად.

მშვენიერ დარბაზის კათედრაზე დასვენებული იყო, არა-ჩვეულებრივი გამომეტყველების განსვენებულის სურათი.

ცოცხალი ყვავილებით შემკული ჩარჩო, კიდევ აორკეცებდა ქართულ საზოგადოების გულწრფელ სევდას. ყველა გრძნობდა, რომ ამ დიდი მოღვაწის სამარე უნდა გათხრილიყო სამშობლოში, სადაც მას დაიტირებდა მადლიერი ქართველი ხალხი.

ირაკლი წერეთლის დაკარგვით დაიხურა ფურცელი, ჩვენი ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლი ტიტანების.

მაგრამ დევნილ ქართველობას ურყევათ სწამს, რომ ისტორიული ჭეშმარიტება თავისუფალ საქართველოს მხარეზეა. რუსეთის დღევანდელი იმპერია ცხოვრების ლოგიკით განწირულია, მისი მზე ადრე თუ გვიან ჩაესვენება. ამ ისტორიულ ურყევ ნიადაგზე საქართველოს ბედში იმყოფებიან მრავალრიცხოვანი, კულტურით დატვირთული ერები რომელთა ურყევ ნებისყოფას თავისუფლებისადმი, ვერავითარი უხეში ძალა ვერ დათრგუნავს.

ჩვენი ბრძოლის მიმართულებას ემთხვევა კულტურული კაცობრიობის კოლოსალური ფიზიკური ძლიერება, და მონობის უარის-მყოფელი სინდისი...

მოგონების მონაწილე ორატორებმა, საზოგადოების წინაშე გადაშალეს მეოცე საუკუნის აბობოქრებული ეპოქა, საქართველოს ადგილი ამ ისტორიულ მიჯნაზე, მოიგონეს განსვენებულის ისტორიული როლი რუსეთში, საქართველოში, ევროპაში, დევნილობაში. აღნიშნეს ირაკლი წერეთლის დიდი ბუნება. მაღალი ნიჭი, არაჩვეულებრივი მჭერმეტყველობა, უანგარო თავგანწირვა...

მოკლეთ მოგვყავს ორატორთა მთავარი აზრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების თავმჯდომარე ნოე ციფლაძე თავის სიტყვაში იძლევა სურათს, თუ როგორ, მუდმივ ცვალებად და მოძრავ ეპოქის გასწვრივ, იშლებოდა მრავალ-ფეროვანი ნიჭი, შუქს ჰფენდა მის გარშემო დიდი პიროვნება ირაკლი წერეთლისა. მომხიბლავ ფერადებით მოსილია მისი დაუვიწყარი სახე მისი აქტიური ცხოვრება საზოგადოებრივ ასპარეზზე, ბთლიანათ მიტანილი მსხვერპლათ ადამიანის ღირსებისა და ერის თავისუფლების საკურთხეველზე, აღვსილი მშრომელისა და ჩაგრულ-დევნილთათვის გახუწყვეტილი ბრძოლით და ბზრუნველობით,—ეს მოუსვენარი ცხოვრება დასერილია იძულებითი, ხშირათ ხანგრძლივი, პაუზებით. ზოგიერთი ეტაპები განსვენებულის ცხოვრებიდან. ჭაბუკობის ხანა: მგრძნობიარე ახალგაზრდობის (სტუდენტობის) მოძრაობის ტალღებში მოჰყვება რა, ირაკლი მისი მეგზური და წინამძღოლიც მალე გახდება. ამ საზოგადოებრივ სტიქიონთან პირველი კონტაქტის შემდეგ ის საბოლოოთ ინათლება იდეალიზმის ზმინდა ემბაზში, რომლის ანკარა წყალი და სპეტაკი სული ბოლომდის შერჩა, და რომლის ძირი უნდა ვეძიოთ საქართველოში, ქართველ ერში და, უშუალოთ კი, მის მამის, გიორგი წერეთლის წრეში. ახალგაზრდულ, თბილ და ცხოველ მყოფელ ხანას ცივი და სუსხიანი ციმბირის ჰაერი შეცვლის —შემდეგში ის, სამშობლოში დაბრუნებისას, ჩვენ გვევლინება პუბლიცისტურ ასპარეზზე. როგორც რედაქტორი მესამე დასის ორგანო «კვალი»-სა. ჩვენი ახალგაზრდა ჟურნალისტი საერთო ყურადღებას დაიმსახურებს.—ყურადღებას არ მოაკლებენ წესიერების დამცველნიც: ჟურნალი იხურება და ის იძულებული ხდება სამშობლო დასტოვოს.

ბერლინის უნივერსიტეტში მეცნიერებას დაეწაფება. მალე ახალი სიო დაჰბერავს აღმოსავლეთით და ცხოვრების ტალღები ისევ სამშობლოსკენ იზიდავენ. აქ მის წინ მალე ახალი ასპარეზი იშლება: საიმპერიო «სახელმწიფო სათათბიროს» დეპუტატათ ქართველი ამრჩეველი მას მიავლინებს. და აქ საქვეყნოთ და საყვარელი ერის საამაყოთ მეღვნდება მისი ნიჭი ძეუდარებელი ორატორისა და ტრიბუნის სახელმწიფოებრივ ინტუიციასთან შედუღებული,—ხომ ყველა განცნობილია, რომ ისტორიულ აქტათ გადაიქცა ირაკლის ბრწყინვალე გალაშქრება თვითმპყრობელობისა და იმპერიის ბურჯის—სტოლიპინის წინააღმდეგ,—ეს იყო. შეიძლება ითქვას. ქართული ვარიანტი რევოლიუციონურ ოპოზიციისა რეაქციისადმი, ვინაიდან რუსულ ლიბერალურ-რადიკალურ ოპოზიციამ ამჯობინა დუმილით პასუხი სტოლიპინის—მოფიქრებულ თავდასხმაზე. ირაკლის გამოსვლამ კი მორალურ და პოლიტიკურ ჰარაკირს ის გადაარჩინა...

ამას მალე მოჰყვება ახალი და ხანგრძლივი პაუზა ირაკლის ცხოვრებაში, პაუზა. ფიზიკური ტანჯვა-წვალებით დამძიმებული (კატორღა-ციმბირი). 1917 წლის თებერვლის რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლიუცია და ირაკლის როლი ამ შემთხვევაში ხომ საქვეყნოთ ცნობილია: საერთაშორისო ფორუმზე ბრწყინავს ქართველი, რომელიც დიდ მორალურ კაპიტალს შემმატებს მშობელ ერის სალაროს და რაც შემდეგში უშუალოთ მის უფლების აღდგენას და დაცვას გამოადგება.

ირაკლის სოციალისტური იდეოლოგია და მასთან შეფარდებული პოლიტიკა და პრაქტიკა ღრმა და გულწრფელი ჰუმანიზმით არის განმსჭვალული. მისი დემოკრატიული მრწამსი შორს შორს არის მომაბეზრებელ დეკლარაციისა და ტრაფარეტისაგან, რომლითაც ჩვენი დროის ფარისეველი ციკოსები ყურს გვიჭედენ. დემოკრატია მის წარმოდგენაში ხალხის სრულ და ძალდაუტანებელ «ოტოდეტერმინაციას», მის სუვერენულ უფლება-მოსილობას ეთანაბრება და აქედან გამომდინარე მისი ეროვნული კონცეპციაც მარტივი და ნათელია. ის ეყრდნობა ერის ნებისყოფას თავის თავს ეყუთვნოდეს. ჩვენი ერის ბედი კი ჩვენს დროში მჭიდროთ გადაბმულია თავისუფალ კაცობრიობის და საერთაშორისო დემოკრატიის ბედთან, და ამ საერთო საკაცობრიო კადრში მისი მოქცევა უნდა იყოს ჩვენთვის იმპერატიული ამოცანა...

ეროვნულ ასპარეზზე ირაკლის უშუალო საქმიანობა გამართლებაა აღებულ ხაზისა. მისი კულტურა და ნიჭი, მჭერმეტყველება და სახელმწიფო ინტუიცია ფართოდ იშლება ჩვენი ქვეყნის საბედისწერო დღეებში. თქმულის საილუსტრაციო მაგალითი: საქართველოს მიწაზე ჩვენ მას ვხედავთ ნოე ჟორდანიისთან და ერის სხვა მეთაურებთან ერთად ახლად შობილ დამოუკიდებელ კავკასიის და, შემდეგში, დამოუკიდებელ საქართველოს აკვანთან. მოგეხსენებათ, თუ როგორი რთული მდგომარეობა იყო: ქვეყნის საზღვრები მოძრაობაშია მოსული—სამხრეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით... შინა ფრონტზე ვულკანის დუღილი: უცხო ძალა, «მეხუთე კოლონა» ამოძრავებული... და აი, ასეთ პირობებში ირაკლის ევალება იყოს პორტ-პაროლი ჩვენი ერის შინ და გარეთ. რომ გადაიკითხოთ მისი სიტყვები კავკასიის სეიმში ჯერ კავკასიის დამოუკიდებლობაზე და შემდეგ—საქართველოზე, თუ გადაიკითხავთ დროს და გარემოებათა გათვალისწინებით —თქვენ დარწმუნდებით, თუ რა სახელმწიფოებრივი ლოგიკის ძლიერებით ისინი გამოიყურებიან. შინაურ სინამდვილესთან შეფარდებული და გარემოსთვის მჭერმეტყველ-დამაჯერებელი.

თუ როგორ და რა უკეთებია ირ. წერეთელს საზღვარგარეთ, როგორც ჩვენი ქვეყნის დაუღალავ და უბადლო მისსიონერს (როგორც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, ისე—ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ).—ამაზე თქმულა და დაწერილა და კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება.

ღრმა და ძირეული იყო ირაკლი წერეთლის პატრიოტიზმი, მისი ურყევი რწმენა ადამიანისა და ადამიანობისადმი, მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმწიკვლო მორალი, რომელიც მან პოლიტიკასთან მოარიგა, უნდა გახდეს მართლაც სამაგალითო ანდერძი ყველასათვის და, განსაკუთრებით, ახალგაზდობისთვის, რომელიც ემზადება და მოწოდებულიც არის ერს და საზოგადოებას ემსახუროს. თავდადებით ემსახურა ის თავის ერს და ბრწყინვალეთაც დაიმსახურა მისი განაწამები ერის სიყვარული.

დიდება იმ ერს, რომელმაც ასეთი შვილი გამოზარდა, დიდება და უკვდავება საქართველოს.

რაკიდან არსენიძე, ღრმათ აღელვებული, თვალ ცრემლიანი თანამებრძოლი განსვენებულის იგონებს ირაკლი წერეთლის არაჩვეულებრივ ნიჭს. სოციალდემოკრატიულ პარტიას არ გამოეპარა დიდი მებრძოლის უნარი, მის შორს-მხედველობა.

ახალგაზრდა ჭაბუკს ჩაბარდა პარტიული გაზეთის «კვალის» რედაქციის ხელმძღვანელობა. ირაკლის წყალობით გაზეთი ავრცელებდა ახალი მოძრაობის იდეებს, ახლად გამოღვიძებული ხალხი უხვად დაეწაფა მას, ერი ინსტიქტიურათ გრძნობდა რომ იწყებოდა ახალი ხანა.

ირაკლი გაგზავნილი იქმნა, პარტიის და ქართველი ხალხის მიერ რუსეთის სათათბირო დუმაში. აქ მან აწარმოვა დიდი ბრძოლები, მას მიუსაჯეს კატორღა და ციმბირში გადასახლება. ირაკლის ჰქონდა შესაძლებლობა გადამალვის, თავის გადარჩენის, მაგრამ მან ეს არ ისურვა რომ ამხანაგებს ჩამოშორებოდა და აირჩია კატორღა-ციმბირი.

ასევე მოიქცენ მისი მეგობრები არჩილ ჯაფარიძე და ჭოლა ლომთათიძე.

ციმბირში მყოფი ყველა პოლიტიკური მოღვაწენი, ირაკლის ღებულობდნენ როგორც უდავო ლიდერს, ხოლო მისი პოლიტიკური წერილები. ვრცელდებოდა საქართველოში და უცხოეთში. გადასახლების დროს მან ღრმათ შეისწავლა მშობლიური ლიტერატურა, აგრეთვე რუსული და ევროპიული.

მამა მისი გიორგი წერეთელი მთელი ოჯახით იყო დიდი ლიბერალი, ჰუმანისტი, ამ ოჯახის გავლენამ ირაკლი გახადა მშრომელი ხალხის მოსარჩლეთ, ხოლო სოციალდემოკრატიულ პარტიაში მან დაინახა შესაძლებლობა ამ იდეალების განხორციელების.

ამ გონებრივმა ფორმაციამ, სრულიად ბუნებრივათ ის გახადა საქართველოს მოჭირნახულეთ, ქართველი ხალხის ფეხზე დადგომა გახდა მისი პოლიტიკური კრედო.

რუსეთის თებერვლის რევოლიუციამ მას მოუსწრო ციმბირში. მიუხედავათ ავადმყოფობისა, ის გაემგზავრა პეტროგრადში. სადაც სამუდამოთ დაუმეგობრდა დიდ გამოჩენილ ქართველს აწ განსვენებულ კარლო ჩხეიძეს.

რუსეთში ბოლშევიკური სისხლიანი რეჟიმის დამყარე-

ბის შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებაში მან არაჩვეულებრივი მჭევმეტყველებით დაახასიათა, ქართველი ერის თავისუფლების ის ეროვნული აუცილებლობა.

თკით ირაკლიმ წამოაყენა და დაასაბუთა, რომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ყველაზე ნიჭიერი ყველასათვის უდავო და მისაღებად გახსვეხებული ნოე ჟორდანია.

თვით ირაკლი იყო სოციალდემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე.

საგარეო პირობების გამო ჩვენი რესპუბლიკის არსებობა არ იყო უზრუნველყოფილი. გვჭირდებოდა ცნობა უცხო სახელმწიფოებისგან. ამ დიდი მისიის შესასრულებლათ დასავლეთში გაგზავნილი იქმნა ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე.

ჩვენი ქვეყნის იურიდიულ ცნობაში, სოციალისტური დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლაში, მან ითამაშა გარდამწყვეტი როლი.

სოციალისტ ჰენდერსონის წყალობით მან ინახულა კერზონი, რენოდელის წყალობით—პუანკარე და ერიო, ეს მომენტები იყვნენ გარდამწყვეტი ჩვენი იურიდიული ცნობისათვის. როდესაც თავისუფლება დავკარგეთ, ირაკლის ენერგიული მუშაობის წყალობით, ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთი იცვნეს რეზერვებით.

როდესაც 1924 წლის აჯანყება ჯალათებმა სისხლში ჩაახრჩეს, აქაც ირაკლის წყალობით, რენოდელმა ფრანგულ პარლამენტში. პოლ-ბონკურმა ერთა ლიგაში ხმა აღიმაღლეს ქართველი ხალხის დასაცავათ.

თავისუფალ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მხურვალეთ იცავდა დაპყრობილი ერის უფლებრივ მდგომარეობას სოციალისტურ ინტერნაციონალში და სახელმწიფოთა წინაშე.

სამწუხაროთ უცხოეთში ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ განსხვავებას პრაქტიკულ კითხვებში და არა პრინციპებში. მაგრამ გახსვენებული დარჩა ბოლომდის ჩვენი ქვეყნის მოჭიროსუფლე, რომლის პატივისცემა ჩვენი წმინდა მოვალეობაა..*)

---

*) რ. არსენიძის მოხსენება მთლიანად დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ერაძე. როდესაც რუსეთის მეორე სათათბირო დუმაში, ჩვენმა პარტიამ ირაკლი წერეთლის კანდიდატურა წამოაყენა, ამ ამბავს თბილისის მუშები დიდი სიამოვნებით შეხვდნენ ირაკლის უკვე იცნობდნენ, როგორც «კვალის» რედაქტორს.

მიუხედავათ საარჩევნო კანონის მრავალი სიმახინჯის, ირაკლი სასახელოთ იქმნა არჩეული და მასთან ერთათ ექვსი სოციალდემოკრატი. მოვლენა თავისთავად იყო შავრაზმულ რეაქციისთვის დიდი პოლიტიკური ლახვარი. მიერალური მარცხი, პასუხი იმ უხეში პოლიტიკის, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა.

ირაკლი ქართველ დეპუტატებთან ერთად შევიდა რუსეთის სათათბირო დუმაში, სადაც მათ შეიტანეს თავიანთ ინდივიდუალურ ღირსებებთან ერთად, ქართველი ხალხის პოლიტიკური დროშა.

ირაკლის საპარლამენტო მოღვაწეობამ ყოველივე ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ის გახდა ცენტრალური ფიგურათ, სახალხო მოძრაობის ემბლემათ, იმედის, მხნეობის მინცემათ, ყველა მათთვის. ვინც დრომოჭმული რეჟიმით დაჩაგრული იყო, და ახალი სამართლიანი წყობილების დამყარებას მოელოდა.

მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა, უცხოეთში დიდი გავლენა მოახდინა, ქართველებს ხომ არსად არ გვიცხოვრია სათათბირო დუმის ტრიბუნიდგან ირაკლის წარმოთქმული სიტყვა, როგორც მეხი ისე გავარდა რუსეთში და უცხოეთში, ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთები აალაპარაკა, უცხოელისათვის შეიქნა საკითხავი: «ვინ არის ეს უშიშარი რაინდი, თვალ-წარმტაცი სილამაზით შემკული, კეთილშობილი, დარბაისელი, სულით ძლიერი და ენამეტყველი, დაუზრეტელი წყაროსავით რომ აფრქვევს სამართლიან აზრებს, გაბატონებულთა წინააღმდეგ, ჩაგრულთა დასაცველათ».

მალე აშკარა გახდა, რომ ამ უცნობ რაინდის უკანსდგას მთელი საქართველო. სულიერათ და ორგანიზაციულათ დარაზმული. საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი, და საკუთარი ეროვნული მეობის მაძიებელი.

ამით აიხსნება რომ ორივე სათათბირო დუმაში, და თებერვლის რევოლიუციის დროს, ქართველი დეპუტატები აღმოჩნდნენ ისტორიის ფონზე. ხოლო ირაკლის დიდი ნიჭი და არაჩვეულებრივი ორატორული ტალანტი გადაიქცა მიმზიდველ ანდამატათ.

რუსეთის სათათბირო დუმაში ირაკლის სიტყვა და საქმე არ ჩამორჩენია და არც გადასცდენია ქართველი ხალხის მანდატს. ეს ერთკულება საკმარისი გახდა რისთვისაც ირაკლი და მისი ამხანაგები კატორღაში ჩაყარეს და ცივ ციმბირში გადაასახლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილი და ნაზი ბუნების ქვეყნის შვილი ჩრდილოეთში დაავადმყოფდა, მაგრამ შერჩა სალი კლდესავით ურყევი რწმენა, იდეალებისათვის ერთგულება. მან არ მიიღო მეფის მოწყალება—ამნისტია, აირჩია ან გამარჯვებული ხალხისგან გათავისუფლება, ან ციხეში სიკვდილი.

ირაკლის ისტორიულმა წინათგრძნობამ არ უმტყუნა, რომანოვების ტახტი დაინგრა, დაავადმყოფებული და დასუსტებული მებრძოლი არ ისვენებს, და მიემგზავრება პეტრბურგში რევოლიუციის სათავეში. თებერვლის რევოლიუციის მსვლელობაში მან დიდი როლი ითამაშა, ის ცდილობდა რუსეთში დამყარებულიყო დემოკრატიული და ჰუმანიური წყობილება.

მაგრამ ქვეყნის სავალალოთ რუსეთი ამ საღ ისტორიულ გზას ასცდა, სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია, და ხელისუფლება სისხლიან დიქტატურას ჩაუვარდა. რუსეთის ინტელიგენციამ მდგომარეობას ალღო ვერ აუღო. გლეხკაცობამ დაპირებული მიწის რეფორმა თავის დროზე ვერ მიიღო, ხოლო ფრონტს დაღლილი ჯარი შინ დაბრუნებას ელოდა... რუსის გლეხკაცობამ დემაგოგია არჩია დემოკრატიას და გაყვა ბოლშევიკებს. ეს იყო დიდი ტრაგედია თებერვლის რევოლიუციის ხელმძღვანელთათვის. ამის ანარეკლმა იმსხვერპლა ჩვენი ქვეყანაც. ირაკლი უკანასკნელ წუთამდის ებრძოდა ამ ბოლშევიკურ წყობილებას.

განსვენებული ბრუნდება სამშობლოში, სადაც ქართველი ხალხი და დემოკრატია ერთმანეთში გადასკვნილი, ქვითკირივით შედუღებული დაუხვდა, წყობილება დემოკრატიული ერთპიროვან და ერთსულოვანი. გაორკეცებული ენერგიით ჩადგა ხალხის სუვერენობაზე აშენებულ თავის პატარა სამშობლოს ციხე-სიმაგრეში, რომელ საც შავი ძალები ყოველ მხრიდან წალეკვით ემუქრებოდნენ.

საჭირო იყო ევროპაში მეგობრების შოვნა. საუბედუროთ მდგომარეობა აქაც რთული იყო, არც მმართველ წრეებს და არც მშრომელთა მასებს არ ჰქონდათ საღი წარმოდგენა რუსეთში მომხდარი ამბების გარშემო. საქმიანი წრეები ოცნებობდნენ რუსეთთან ვაჭრობას, ხოლო მშრომელ ხალხს აბრმავებდა წითელი დროშა და რევოლიუციონური ლოზუნგები ბოლშევიკების.

ამ დიდ პოსტზე გაგზავნილ იქმნა ირაკლი, რომლის დაუღალავმა შრომამ, ენერგიამ, უნარმა, საქმის ღრმა ცოდნამ და მისმა დიდმა ავტორიტეტმა შესძლო მეორე ინტერნაციონალში და მუშათა წრეებში ბურუსის გაფანტვა, შემცდარ შეხედულებათა დარღვევა. მან მოახერხა ევროპის სოციალისტური პარტიების ლიდერების ჩამოყვანა საქართველოში, ჩვენი ქვეყანა გახდა დემოკრატიულ წყობილების ცოცხალ მაგალითად და ბოლშევიკური სისხლიანი რეჟიმის ანტიპოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო დაეცა მტრის ხელით, მთავრობა გამოვიდა უცხოეთში. ირაკლი გახდა ინტერხაციონალში მარჯვენა ხელი ქორდანიასი. როგორც ყველგან, ჩვენს პოლიტიკურ ოჯახშიც მოხდა აზრთა გახსხვავება, არა პრინციპებში, არა ჩვენს მთავარ სადღეისო და სახვალიო მიზნებში, არამედ ყოველდღიურ საქმიანობის წესის და ფორმების გარშემო. ამის გამო მთელი ერთი პერიოდი ის იყო განზე გამდგარი, აწუხებდა რომ ის ველარ ახერხებდა აქტიურ ჩაბმას საერთო საქმიანობაში.

ტყვეობაში მყოფ ქართველი ხალხის სახელით, ვის გულშიც ბრწყინავს ხათელი მოგონება ირაკლი წერეთლის, ნებას ვაძლევ ჩემ თავს პატივი ვსცე ამ სასიქადულო მამულიშვილის ხსოვნას...

შალვა აბდუშელი. ერის დიდებას, სახელს ქმნიან მისი ღირსეული შვილები. თუ სტალინმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ერის სახელს, სამაგიეროთ ირაკლის ნიჭმა, მისმა მორალურმა დიდმა ავტორიტეტმა, წარეცხა ეს დაუმსახურებელი ჩრდილი.

ირაკლის ჰქონდა ანტიბოლშევიკური ბრძოლის მეთოდები, რომლებიც ენათესაობდნენ ცხობილ ამერიკელ დოლესის ხაზს. ხოლო მისი მჭევრმეტყველება შეგვიძლია შევადაროთ ჟორესისას ან მირაბოსას.

მისი ბუნება იყო ანტიპოდი დიქტატორის, თავისუფლების მოყვარული დიდი იდეალებით გატაცებული, ამავე დროს მისი პოლიტიკა იყო რეალური. როგორც პიროვნება იყო ლოიალური, პირდაპირი, არასოდეს არ მიმართავდა დემაგოგიას. იყო ორატორი აზრის და არა ზერელე ეფექტების. სამართლიანათ მას უწოდებდნენ რევოლიუციის სიხდის, მისი მეტყველების ძალა იყო მისი რწმენა, ლაპარაკობდა ისეთი გატაცებით, რომ იწვევდა აღფრთოვანებას მომხრეთა შორის, არწმუნებდა მერყეებს, და რაც მთავარია, ადუმებდა მტრებს თუ მოწინააღმდეგეებს.

მან პირველმა იწინასწარმეტყველა ბოლშევიკური რეჟიმის ისტორიული ბოროტებანი, ეს იმ დროს როცა ცოტანი ერკვეოდნენ, ამ კრიმინალური რეჟიმის ბზაკვრულ ბუნებაში. ირაკლის სახელის მოხვეჭა დაიწყო რუსეთის პარლამენტში გამოსვლით. ისტორიულათ განწირულ რეჟიმს მან სასიკვდილო განაჩენი უწინასწარმეტყველა. დამფრთხალმა და დაშინებულმა წყობილების მოამაგეებმა თავი ინუგეშეს: «მადლობა ღმერთს ილაპარაკა არა რუსულ ენაზე», მაგრამ ისტორიის განაჩენი და ირაკლის წინასწარმეტყველება ერთიმეორეს დაემთხვენ.

ამ პერიოდში მას უხდებოდა ორ ფრონტზე ბრძოლა, ერთი მხრივ რომანოვების რეჟიმთან, მეორე მხრივ ბოლშევიკებთან. მეფის წყობილებამ ირაკლი ციმბირში გადაასახლა, არაჩვეულებრივი ვაჟკაცობით და სიმხნევით აიტანა ეს მძიმე ხვედრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის რევოლიუციის მსვლელობაში ირაკლიმ დიდი როლი ითამაშა. კარლო ჩხეიძესთან ერთად სცდილობდა, რუსეთში დემოკრატიული და ლიბერალური წყობილება დამყარებულიყო და არა სისხლიანი დიქტატურა.

საუბედუროთ ამ საბედისწერო ისტორიული მოვლენის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ირაკლიმ იბრძოლა იშვიათი გამბედაობით უკანასკნელ მომენტამდის.

პარლამენტში, გახულიგნებული ბოლშევიკების საჯარო მიტინგებზე, საზოგადოთ ყველგან სადაც გაბატონებული იყო უმრავლესობა ლენინ-ტროცკის მეთაურობით. მხოლოდ ირაკლის შეეძლო ლაპარაკი. ერთად-ერთი ის ახერხებდა აბობოქრებული ბრბოს დაოკებას, დროებით ხელში დაჭერას, მაგრამ ყოველივე ეს უკვე გვიანი იყო, რუსეთი სისხლიახი რეჟიმის და სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია, და ირაკლიმ სამშობლოს მოაშურა.

საქართველოში მისი ადგილი უდავო იყო. სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, ის შეეცადა ახალგაზრდა რესპუბლიკის გაძლიერება გამაგრებას, ამ მიზნით სპეციალური მისიით წამოვიდა უცხოეთში.

რუსეთში, საქართველოში, თუ დევნილობაში განსვენებული მუდამ და ყოველთვის საქართველოს ინტერესებს იცავდა.

ირაკლის სახით ქართველი ერი ჰკარგავს ერთგულ შვილს, დიდ ორატორს, დიდ მოღვაწეს, შვილს რომელმაც სამშობლოს სახელი მოუხვეჭა.

საქართველოს მხე ჩასვენებული არ არის, ის მხოლოდ შავი ღრუბლებით დაფარულია.

კვლავ გამობრწყინდება, გაანათებს საამაყო შვილის სამარეს, ამ რწმენით ვეთხოვებით ჩვენ ძვირფას მეგობარს...

მირიან მელუა. სამოცი წლის მანძილზე დიდი მებრძოლის ხმა ჩაწყდა. ველარ მოვისმენთ დიდი ქართველის გიორგი წერეთლის საამაყო შვილის აღგზნებულ მჭერმეტყველებას. მეცხრამეტე საუკუნის ან, როგორც ამბობენ. მესამოცე წლების დიდმა ქართველებმა მოუმზადეს ნიადაგი მეოცე საუკუნის ისტორიულ საქართველოს.

გიორგი წერეთლის დამსახურება მწერლობაში, მეცნიერებაში, თუ სხვა დარგებში დაუფასებელია. მისი ოჯახი ავრცელებდა პატრიოტულ და ჰუმანიურ აზროვნებას ირაკლიმ აქ მიიღო ზიარება პოლიტიკური რწმენის. იშვიათია ისეთი თაობის მონახვა, რომელიც ერთი საუკუნის მანძილზე ატარებდეს განმათავისუფლებელ ეროვნულ დროშას. ქართველი ხალხისთვის აღარ კმაროდა კერძო თავდადება, აუცილებელი გახდა ფართე პოლიტიკური დაჯგუფებანი. ეს ისტორიული აუცილებლობა გიორგი წერეთლის ოჯახმა ადრე გაიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი წერეთელი იყო პოეტი, მან ღრმათ შეისწავლა ქართული და რუსული ლიტერატურა. მაგრამ აშკარა იყო, მისი დიდი ბუნება ვერ მოთავსდებოდა ამ შედარებით ვიწრო ნიადაგზე. თავის იდეალების განსახორციელებლათ მან აირჩია გაშლილი ბრძოლა, და გახდა სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ ერთი ხელმძღვანელთაგანი. ირაკლიმ მეორე სათათბირო დუმაში გამოიჩინა არაჩვეულებრივი უნარი მებრძოლისა. მან დაამტკიცა ქართული ლეგენდარული ბუნება.

როდესაც რუსეთი ეხვევა სამოქალაქო ომის ცეცხლში, როდესაც იქ მყარდება სისხლიანი დიქტატურა. რომელსაც ირაკლი გაბედულათ ებრძვის, იძულებულია სამშობლოს მოაშოროს.

ნორჩი რესპუბლიკა მას მეტად დიდ დავალებას აძლევს და ევროპაში ისტუმრებს. ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, ირაკლის ევალება დაიცვას საქართველოს უფლებრივი მდგომარეობა სოციალისტურ ინტერნაციონალში. მეორე, მესამე და ორნახევარ ინტერნაციონალის შეხვედრის დროს მან დაამარცხა კომუნისტების ლიდერი კ. რადეკი და ათქმევინა რომ საქართველო დაიპყრო წითელმა ჯარებმა. ირაკლი მომხრე იყო დემოკრატიული მეთოდების. ეროვნულ განთავისუფლებას ის უყურებდა როგორც სამართლიანობის აუცილებლობას. ოფიციალური ჩვენი ეროვნული ხაზი მიაჩნდა შემცდარათ, ამიტომ ის გადგა განზე.

ვასო ტოდუაში. დავკარგეთ ჯიბლაძე, ჩხეიძე. რამიშვილი, ჟორდანია, გეგეჭკორი, კანდელაკი, ჩხენკელი. დღეს მათ რიცხვს მიემატა ჩვენი ლიდერი ირაკლი წერეთელი.

ჩემ ძალას აღემატება ამ დიდი ადამიანის ბუნების აღწერა, მას შეეძლო მდიდრულათ ცხოვრება, მაგრამ მან აირჩია ღარიბების და ჩაგრულების სამსახური.

მის ზრუნვის საგანს შეადგენდა ქართველი ხალხი. მისი ჩაგრული მუშები და გლეხობა, მაგრამ მისი დიდი ბუნება არ ივიწყებდა რუსეთის ტერიტორიაზე მყოფ ტანჯულ მასებს. ტრიბუნა რუსეთის სათათბირო დუმის გახდა მისთვის პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზათ, საიდგანაც ის აფრქვევდა იმედებს ჩაგრულთა შორის. სამეფო რეჟიმმა მასში დაიხახა დიდი მოწინააღმდეგე და გადაასახლა ციმბირში... დემოკრატიულმა რეჟიმმა რუსეთში ვერ გაიმაოჯვა. თებერვლის რევოლიუციას მოყვა სისხლიანი ოქტომბრის გადატრიალება. ირაკლიმ პირველმა იწინასწარმეტყველა ამ არაადამიანური წყობილების ბუნება. ბრუნდება საქართველოში, ნოე ჟორდანიასთან ერთად მუშაობს საქართველოს დამოუკიდებლობის გასამტკიცებლათ. კარლო ჩხეიძესთან ერთად მიემგზავრება ევროპაში. სოციალისტური წრეების დახმარებით მან მიაღწია საქართველოს იურიდიულ ცნობას. დაპყრობის შემდეგ მუშაობს სოციალისტურ ინტერნაციონალში, სადაც ირაკ-

30272

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დიდი ავტორიტეტის წყალობით გამოტანილი იქმნა მრავალი რეზოლიუციები, სადაც დაგმობილია რუსეთის ლაჩრული თავდასხმა.

ირაკლი დიდ მნიშვნელობას აძლევდა სოციალისტური და დემოკრატიული წრეების მორალურ თანაგრძნობას. დემოკრატიის გამარჯვების გარეშე არა სწარდა პატარა ერთა განთავისუფლება. თვით რუსულ დემოკრატიულ წრეებში, საჭიროთ მიაჩნდა მუშაობა, მსგავსათ ირლანდიის მაგალითისა. წინააღმდეგი იყო კონსპირაციული მუშაობის. იყო ჭეშმარიტი დემოკრატი და სწამდა ორგანიზაციის გარდაუწყვეტი მნიშვნელობა...

ირაკლის ხსოვნა სამარადისო იქნება ჩვენს შორის.

გრ. წერეთელი.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას.

ძვირფასო თანამემამულენო,

26 მაისისათვის მიძღვნილ საჯარო სხდომის წინ შემთხვევით გავიგეთ დიდი ქართველის ბ. ირაკლი წერეთელის გარდაცვალება.

ამ მეტათ ცუდმა ამბავმა ყველა ჩვენს წევრებს გული ატკინა და დაამწუხრა.

ბ. ირაკლი წერეთელი ქართველი ერის საამაყო შვილი იყო; მისი დამსახურება ქართველი ხალხის პროგრესის, გათვითცნობიერების, მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დამტკიცებისათვის მეტათ დიდი იყო.

ბ. ირაკლი წერეთელი წმინდა, ფაქიზი გრძნობის, უმწიკვლო ადამიანი იყო.

იგი ქართველი სოციალიზმის შეუდრეკელი, უზადო გამომსახველია.

ქართველი ერის ისტორია მის ამაგს დააფასებს და ბ-ნ ირაკლის ხსოვნას სამარადისოთ გახდის.

სოშოს ქართველთა სათვისტომო გულისტკივილით და მწუხარებით ესალმება ქართველ ერს და ბ. ირაკლის ახლობელ მეგობრებს; იგი მათ გულითად თანაგრძნობას ეთვლის და მათ მდუღარე ცრემლებს თავის საკუთარ გულწრფელ ცრემლებს უერთებს.

სათვისტომოს გამგეობა.

ავსტრიის სოციალისტური პარტიის თვიურ ჟურნალ—«Die Zukunft»-ში, რომელიც გამოდის ოსკარ პოლაკის, ბენედიკტე კაუცკის და ხსენებული პარტიის სხვა მეთაურების რედაქტორობით, გასული წლის დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ნიკო იმხაიშვილის ვრცელი წერილი განსვენებული ირაკლი წერეთლის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო მენაღარიშვილი.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სტამბოლში გარდაიცვალა სანდრო მენაღარიშვილი 20 დეკემბერს 1959 წ. დასაფლავებულ იქნა მართლმადიდებელ ბერძენთა სასაფლაოზე («მეტამორფოზის») 22 დეკემბერს 15 საათზე.

დასაფლავებას დაესწრენ სტამბოლში მყოფი ქართველობა, მასპინძლები და კავკასიის ერების წარმომადგენლები.

წარმოთქმულ იქნა სიტყვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფას მეგობრის ხსოვნას.

ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში—ახალი თაობა მთელი არსებით, იდეური გატაცებით გადაეშვა ახალი ცხოვრების ტალღებში, გახდა შეურყეველი დასაყრდენი და ერთგული დამცველი ნორჩი რესპუბლიკის. გოგიტა ფალავას თავგანწირული. მოუსვენარი აღმაფრენა სიცბლიური სახეობით მოსჩანს პოლიტიკურ მოძრაობის ეკრანზე, რომლის გვერდით მრავალთა შორის სანდრო მენაღარიშვილი ხიჭით უხვად დაჯილდოებული, ურყევი ნებისყოფით და რწმენით შეიარაღებული ეუფლება და გზას იკაფავს პოლიტიკურ ასპარეზზე. ხდება ჯერ კიდევ ახალგაზრდა საპასუხისმგებლო ადგილზე,—ერთგული დარაჯი ჩაბარებულ საქმის...

უღარიბესი ოჯახიდან, სიმწრით გამოზრდილმა საშუალო კანათლების მიღება შესძლო დიდის ნიჭთიერი გაჭირვებით. ახალგაზდობიდანვე ჩაება განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. იგი არ იყო შემთხვევით მოსული სოციალისტურ პარტიაში. არამედ მასში ხედავდა იმ დიდ ძალას, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნებოდა მის გარშემო არსებულ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრის დაძლევა. საზოგადოებრივი ცხოვრების კარდაქმნა. რის განხორციელებას შეუდგა დემოკრატიული სახელმწიფო, სოციალურ და ეკონომიურ რეფორმების გატარებით.

სანდროც გახდა ერთი საუკეთესო პიონერი შემოქმედებითი მუშაობის. შორაპნის სამაზრო ეროობის. გვარდიის, პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. მნიშვნელოვან პოლიტიკურ ყრილობებზე იგი იქცევს ყველას ყურადღებას. საჯარო გამოსვლებში მეტყველებდა სახალხო ტრიბუნის თვისებები. ენა მოქარგული. მჭერმეტყველური, დამაჯერებელი და საქმიანი. დასავლეთ საქართველოში არა ერთ ადგილებში მას იწვევენ მიტინგებზე და მის სიტყვებს გულდასმით უსმენენ.

საქართველოს—რუსეთისგან დაპყრობამ სანდრო გადაისროლა არალეგალურ ორგანიზაციების სათავეში. აქაც გამოჩნდა მისი უნარი და ენერგია. მოქნილი. დაკვირვებული, ფრთხილი და ფხიზელი მოქმედებით თანდათანობით სხვებთან ერთად საძირკველს უყრიდა —მიზანშეწონილ ფარგლებში აქცევდა იმ მასსიურ უკმაყოფილებას, რომელიც უცხო ოკუპაციამ გამოიწვია და მიიყვანა ერი შევიწროებული აგვისტოს აჯანყებამდე. რომლის დამარცხების შემდეგ უაღრესად მძიმე პირობებში შეუდგა დანგრეულ ორგანიზაციების თავის მოყრას. ფეხზე დაყენებას.

სანდროს ფეხდაფეხ დასდევდა «ჩეკის» აგენტები. ის იძულებულია გადაიხიზნოს უცხოეთში. აქ მან ჩაიბარა ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპასუხისმგებლო მოვალეობანი, როგორც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში, ისე მისი ნდობით აღჭურვილმა ინტერპარტიულ კრებულში და ჩვენ მეზობელ ერებთან დამოკიდებულებაში იყო ერთგული გამტარებელი აღებული ეროვნული ხაზის. საქართველოს უფლებისთვის ბრძოლის ისტორია, რომელიც დაიწერება,—იქ უსათუოდ გამოჩნდება გაანალიზებული, შეუჩერებელი ყოველ-დღიური და ყოველ-მხრივი საქმიანობის ქსელი. რომელიც აწარმოვა ერის ხელმძღვანელობამ უცხოეთში ნოე ჟორდანიას მეთაურობით სანდრო აქ მოსჩანს როგორც ერთგული და დაუზარებელი თანამშრომელი, რომელმაც ეროვნული მთავრობის ნდობით ჩაიბარა ულტიმატუმად საპასუხისმგებლო პოსტი ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში და საქმეს სიფრთხილითა და სიყვარულით უხელმძღვანელა. შესძლო დაემსახურებია ნდობა მასპინძლების და გახდა ერთი ხელმძღვანელთაგანი კავკასიის ერთა გაერთიანებულ ორგანოში.

ამ რამოდენიმე წლის წინად სანდრო განუკურნებელმა ავადმყოფობამ დასცა. ფიზიკური მოძრაობის საშუალება წაართვა და შრომას მოსწყვიტა. მას შერჩა სული გონება და ჩვენთან კავშირში—თავისებურ ფხიზელ გამჭრიახობით უდგებოდა ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებს...

მეზობელ ერის ცივ მიწამ მიიბარა იგი, არ აუსრულდა ნატვრა—ენახა სამშობლო თავისუფალი. მაგრამ მის ჭრილობაშევალ მოხდილის ხსოვნა დარჩება წარუშლელი მის თანამებრძოლთა შორის...

ათეულ წლების მანძილზე მხარდამხარ ერთად შრომაში ვხედავდი ძმაო სანდრო შენს თავდადებას და ქართული საქმის სიყვარულს. იმავე რწმენით და ერთგულებით, გავაგრძელებთ ეკლიან გზაზე სვლას—გამარჯვებისკენ მიმავალს.

ბ. სარჯველაძე.

საშა ქორქიას ხსოვნას.

საშა ქორქია აღარ გვყავს—1969 წ. 21 დეკემბერს სამუდამოდ დახუჭა მისი მომხიბლავი და მრავალმეტყველი თვალები. სამუდამოდ დადუმდა მისი ტკბილად მოსაუბრე და მიმღერალი ხმა... ის არ ყოფილა არც მეცხიერი, არც პოლიტიკოსი—მაკრამ ყოველ დღიურ შეხვედრებში და დამოკიდებულებაში. შეიძლება ითქვას. რომ მას ტოლი არ ჰყავდა. ყველას მოყვარული. პატივისმცემელი, მორიდებული. ზეძლებილ-დაგვარად დამხმარე... ვინც მას ოდნავად მაინც იცნობდა. უსათუოდ საყვარელ ადამიანად დაისახავდა და მართლაც ასეთი ადამიანი იყო. განსაკუთრებით დღევანდელ მორალურ და პოლიტიკურ კრიზისში. დიდათ დასაფასებელია და სწორედ ამიტომ ის ყველასათვის საყვარელი და სანატრელი იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო ის კერძო ცხოვრებაში. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მიუძღვის ღვაწლი. ღირს აღსანიშნავია მისი მუშაობა ავტოკეფალიის მოპოვებისათვის. ბოლშევიკების დროს —დასაწყისში—რუსეთში ქართული კომიტეტის შექმნით, რომლის დანიშნულება იყო ქართული ინტერესების დაცვა და ქართველების სამშობლოში დაბრუნების საკითხის მოგვარება და სხვა...

ვის არ ახსოვს მისი როლი გერმანელების დროს—საოკუპაციო ძალამ ის დანიშნა კავკასიის ოფისის დირექტორად, რაც მიიღო ჩვენი რჩევით. ამ პოსტზე მისი მუშაობა იყო უაღრესად დადებითი. ვინ იცის თუ რამდენი გადაარჩინა ნაცისტების შეუბრალებელ ტანჯვა-წამებისაგან! ყოველ სერიოზულ შემთხვევის დროს დაგვეკითხებოდა და თანახმად ჩვენი რჩევისა გადაჭრიდა საკითხს ხანდახან მეტად რთულს.

ხანგრძლივ ავადმყოფობით დასუსტებულმა განვიზრახე მისი ნახვა საავადმყოფოში, როგორც კი დამინახა საყვედურის სახით მომდგა: როგორ გაბედე, შენი ჯანმრთელობის პირობებში, ამ სიშორეზე წამოსვლა—რას მომიმტებს, ან მომაკლებს შენი ნახვა—და სხვა... ერთი სიტყვით გაუთავებელი საყვედურებით დასრულდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. გამომშვიდობებისას მითხრა მეორედ არ მივსულიყავი—მე აქ მოვედი იმისთვის, რომ აქ მოვკვდე—სახლში სიკვდილს გაურბივარ რათა ბავშვები (მამა ილიას) არ დაესწრონ ჩემ სიკვდილს .... ასეთი იყო მისი მაღალი მორალი—სასიკვდილოდ ემზადებოდა და იმაზე ფიქრობდა რომ ბავშვები არ დაეშინებია!...

უაღრესი მადლობა ქალბატონ მელიას და მამა ილიას, რომელთაც არაფერი არ დაუშურავთ საშას გადასარჩენად...

მშვიდობით ჩემო საშა—ხორციელად გაგვშორდი, მაგრამ სულიერად—მუდამ ჩვენს, შენი მეგობრების შორის იქნები.

ხ. ახ—ნი.

საქართველო ოკუპაციის ქვეშ.

1. «ოქტომბრის ჩიტაღდანი».

ამ სათაურით ქართულ «კომუნისტში» (იხ. № 259. გასული წლის 9 ნოემბერი).

ვინმე დოცენტი კალანდაძე დღესასწაულობს ოქტომბრის მიღწევებს და ხსნის მის აწმყო მიზნებს:

«წინანდელ რევოლიუციებისგან განსხვავებით —ამბობს ის—რომლებიც შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, კმაყოფილდებოდა იმით, რომ ჩაგვრის ძველი მანქანა ერთი კლასის ხელიდან,—მეორე კლასისთვის გადაეცა, ხოლო ექსპლოატაციას საბოლოო ანგარიშით უცვლელად სტოვებდა. ოქტომბრის რევოლიუციამ ძირფესვიანი სოციალური გარდაქმნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახდინა და ყველა სფეროში გზა გაუხსნა საზოგადოების პროგრესს»...

და აი ჩვენი დოცენტიც ჩამოთვლის იმ სფეროებს სადაც ოქტომბერს შეუტანია პროგრესი, გზა გაუხსნია, ადამიანის, ერის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების აღმავლობისთვის...

«კომუნისტი» ს ფურცლები იტანს ყველაფერს რაც ხელისუფლებას მოუხდება, მის პოლიტიკას გაამართლებს და გამაგრებს, მაგრამ ახალი თაობა, რომლის გონებას იგი დაპატრონებია მოკლებულია საშვალებას განსხვავებული აზრები მოისმინოს, წაიკითხოს და მიუდგომელი დასკვნები გამოიტანოს.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ თებერვლის რევოლიუცია გაბედულად შედგა ისტორიულ გზაზე, რუსეთი მას თანამედროვე ნორმალურ დამთავრებულ სახელმწიფოთ უნდა გადაექცია, იგი მეეყვანა საკაცობრიო ოჯახში, ქვეშევრდომი მოქალაქეთ გაეხადა, გზა გაეხსნა ნორმალურ განვითარებისთვის, რევოლიუციის ავანგარდმა ვერ შესძლო ერად ამოცანების სისრულემი მოყვანა, მოძრაობაში ჩაება, ახალი ფენები, აგორდა მთელი ჩამორჩენილი სტიქია და დაეპატრონა რევოლიუციას.

ოქტომბერმა შეკრა, დაბა ყველა სასიცოცხლო ძალები, დაიწყო ბრძოლა ცხოვრებასა და ბოლშევიკურ იდეოლოგიას შორის ოქტომბერმა გაიმარჯვა. წარმოიშვა ბოლშევიკური სახელმწიფო, რომელმაც დაიმონა და ყოველ მხრივ შებოჭა ადამიანის შემოქმედებითი შრომა.

მართალია საფრანგეთის რევოლიუციის ქარცეცხლში და მის მოძრაობის პროცესში, ისე როგორც ინგლისის დიდი რევოლიუციის დროს, უტოპისტები, დოქტრინერები არ ცნობდენ რევოლიუციის ბურჟუაზიულ ხასიათს და ცდილობდენ მეფარდებას თავიანთ დოქტრინის არა ცხოვრებასთან, არამედ პირიქით ცხოვრების ჩამოქნას, ჩამოყალიბებას თავიანთ იდეოლოგიის თანახმად. საბოლოოთ მაინც დასავლეთის რევოლიუციები თავსდებიან ისტორიულ კალაპოტში. არა თუ მორდებიან ისტორიულ სინამდვილეს, არამედ, ყოველ საძირკველს უყრიან მომავალს, ერთა სოლიდარულ-პოლიტიკურ განვითარებას გზას უხსნიან. ისინი ხდებიან სწორედ პროგრესის მატარებელნი. მხოლოთ ოქტომბერი ჭიანალმდეგ ჩვენი ბედაური დოცენტის აზრებისა გაჰყვა ძველ მოსკოვურ რუსეთის. ხაზს, როცა ადამიანი და ნივთი, მთელი ერი და მთელი სიმდიდრე სახელმწიფოს მორჩილებაში იყოფებოდა. ე. ი. ძველი წარსული – დამონებული ცხოვრება აწმყოდ აქციეს, მხოლოდ თავზე კომუნისტური თაღი დაასვეს.

ერის სოციალურ ცხოვრებაში მოხდა მხოლოდ ერთი ცვლილება, ძველი თავად-აზნაურობის ადგილი დაიჭირა კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნისტური პარტიის არისტოკრატიამ,—გაცილებით მეტი უფლებით და ძლევამოსილებით. ორმოცი წლის მანძილზე თანდათანობით, უამრავ ადამიანთა მსხვერპლის შეწირვით ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოება; მაგრამ არა უკლასო და თანასწორი, არამედ ერთის მხრივ ჩაგრულნი და უფლებონი, მეორეს მხრივ ძლიერნი და ბრძანებელნი. ბოლშევიზმი არასდროს ყოფილა ისტორიის პროგრესის მატარებელი, ადამიანთა ნორმალურ ურთი-ერთობის გამომხატველი. მაგრამ მის პირველ გვარდიას ჰქონდა ერთგვარი იდეალი, ცეცხლი რომელიც ჩაქრა, დაკნინდა დაეშვა დაბლა.—და დღეს დიდის იმპერიის შექმნით—გადაიქცა მთელ კაცობრიობისთვის საშიშ—უხეშ ძალათ.

2.

ჩვენი «დოკენტი» ეხება ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით—მიმდინარე საკითხებს, იგი ღეჭავს ხრუშჩოვის სიტყვას თავისებურად—ისე კი რომ ხაზეინის მიერ ნათქვამი არ დამახინჯდეს.

აი ეკონომიურ ჯიბრში დაინგრევა თავისუფალი ქვეყნების ეკონომიური სისტემა. მთელი ქვეყნიერება დარწმუნდება საბჭოთა ეკონომიკის სიძლიერეში, მის სისტემის უპირატესობაში და მშვიდობიანი გზით მიიღებს მას, დამყარდება ბედნიერება დედა-მიწაზე.

მოისპობა კოლონიალური ჩაგვრა, განთავისუფლდება ერები. ცხადია დოკენტი,—აღტაცებულია ხრუშჩოვის ერთა ორგანიზაციის ტრიბუნაზე ასვლით, და მისი მშვიდობიანობის სიტყვიერი გამოსვლით. უნდა გავშინჯოთ თუ რა ძირითადი მოტივები ამოძრავებს ხრუშჩოვის ტაქტიკურ და სტრატეგიულ მიხვევ-მოხვევას.

მოსკოვმა არსებითად უკან წაიღო მუქარა რომლითაც იგი ცდილობდა ბერლინის კარებიდან ევროპაში გაბატონებას. ამერიკის ევროპიდან განდევნას ატლანტიკის თავდაცვითი გეგმის მოშლას. ამ განზრახვების განხორციელებას წინ აღუდგა თავისუფალ ქვეყნების და უმთავრესად შეერთებულ შტატების მტკიცე პოზიცია, რამაც მოსკოვი იძულებული გახადა უკან დაეხია, კეთილ-განწყობილების და თანაარსებობის დროშა კვლავ აეფრიალებია. ამავე დროს სამხედრო წონასწორობა, რომლის დარღვევას და შესუსტებას არ ფიქრობს დასავლეთი, სანამ განიარაღების საკითხში მოსკოვი სიტყვას —საქმეთ არ აქცევს და კონტროლის მოგვარება რეალურ სახეს არ მიიღებს. და თუ ამას დაუმატებთ შინაურ ეკონომიურ ფრონტზე 7 წლედიან გეგმის განხორციელებისთვის წამოჭრილ დაბრკოლებებს; აშკარა ხდება ყველასთვის ხრუშჩოვის ღიმილი, და ლიბერალური სიტყვიერების არსენალი.—რაც ასე აღფრთოვანებს მხოლოდ მეოცნებე პირებს...

სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ეკონომიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვრები უდიდეს ყურადღებას იპყრობს და თუ ობიექტურ კვლევა-ძიებას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის მძიმე მოეწველობის ზრდა რამოდენიმეთ რეალობას წარმოადგენს და მისი ტექნიკური მომარაგება უზრუნველყოფილია, ეს მიღწევები ხდება უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ხარჯზე, კოლმეურნეთა შრომის გაყვლეფით და მსუბუქ მრეწველობის შეზღუდვით. აქედან, ფართე მოხმარების საგნების სიმცირით და მშრომელთა მასსების, მცხოვრებთა უდიდესი ნაწილის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარეშე დატოვებით...

ხრუშჩევის რეფორმამ—სამრეწველო რაიონების დაყოფით სრული კრახი განიცადა, შექმნა უდიდესი ქაოსი და დაყოფილ რაიონების დაპირისპირება და ქიშპობა გამოიწვია, რამაც თანდათანობით რაიონულ სიბჭოთა როლი გააქრო და ისინი გადაიქცენ კომპარტიის ცენტრის ადგილობრივ საგენტოებათ და დასაყრდნობათ. მეორეს მხრივ სასოფლო მეურნეობაში, მართალია მოისპო ნატურალური გადასახადები, მაგრამ სახელმწიფოს ორგანოები გახდნენ შრომის ნაყოფის —ფასის დამდები, შემყიდველი და განმანაწილებელი, ცხადია სახელმწიფო საბოლოო ანგარიშით მაინც გაძღის სრული ბატონ-პატრონი და მისი შემზღუდავი ზომები აიძულებს კოლმეურნეებს—გადავიდენ ე. წ. «სოვხოზებში»—სახელმწიფო წარმოებებში, გახდენ დაქირავებული მუშები—რითაც ხორციელდება ლენინის ანდერძი—გლეხობის როგორც კლასის მოსპობის შესახებ. აი ამ დროს შვიდ წლედიანი გეგმის განხორციელება განიცდის უდიდეს სიძნელეს, რომლის დანიშნულებაა უმთავრესათ იმ საბოლოო და შორეულ მიზნების მიღწევა რომლებიც ოქტომბერმა დაისახა—ღღიდან თავის გაბატონებისა ე. ი. თავის საშოდან წარმოშობილ სისტემის მთელ ქვეყნიერებაზე განხორციელება და მოსკოვის პოლიტიკური გავლენის გაბატონება. დღეს აშკარა ხდება, რომ საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის საგარეო დანიშნულება —მშვიდობიანი გზით აფრიკა-აზიის ბაზრების დაპყრობა— იქიდან დასავლეთ ქვეყნების განდევნა რაც მის პოლიტიკურ ბატონობას გზას გაუხსნის. ამიტომ საჭიროა რუსეთის მრეწველობიდან საკმაო საექსპორტო საქონლის ამ ბაზრებზე გამოყრა რაც შეუძლებელია თუ ეკონომიურ ფრონტზე შიგნით—სამრეწველო დარგებში არ იქნა საჭირო კაპიტალით უზრუნველყოფილი. ამიტომ ხრუშჩოვი თანაარსებობის დროშით, ღიმილით და თავაზიანი სიტყვებით ევლინება დასავლეთს, რათა იქ ნდობა და სესხი მიიღოს. აი ეს სტრატეგიული შემოვლა რომელიც ემსახურება—არა შიგნით მცხოვრებთა კეთილდღეობას, არამედ მოსკოვის საგარეო საექსპანსიო პოლიტიკას, თუ ამას დაუმატებთ, რომ საბჭოთა ეკონომიკის მილიტარიზაცია დაწყებული სტალინის დროს სრულიად არ შენელებულა, ჩვენთვის აშკარაა ის, თუ რა შინაარს

ატარებს მოსკოვის შინა-საგარეო პოლიტიკა, რომელიც ასე უცნობია ბატონ «დოცენტისთვის». და მისი «ოქტომბრის ჩირაღდანი» ანათებს იმ არა თბილი სხივებით, რომლებითაც განიკურნება კაცობრიობის ჭრილობები, არამედ ჩრდილოეთის იმ ქარიშხალით, რომელიც კაცობრიობას ემუქრება წალეკვით და განადგურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. «ბედნიერი ცხოვრება»

ყველა საშვალება მისაღებია—შრომის საყვლეფად. სპეციალურ აგიტ-პროპის ბიუროებში მუშავდება გეგმა. რომელიც მ მრომელის კუნთებით უნდა გატარდეს, სახელ მწიფოს ხაზინა გაამდიდროს. თუ «სტახანოვჩინა» დავიწყებას მიეცა —ეხლა ვიღაც გაგანოვის ქალი გამოახტუნეს, რომლის ჯანმთელობამ გაუძლო გაათკეცებულ შრომას და გმირათაც იქნა გამოცხადებული. პარტიის ყრილობა, ცეკას პლენუმის. მოსკოვში თუ თბილისში, ოქტომბერის თუ სხვა მოვლენების, ისტორიული თარიღების შესახვედრათ გააფთრებული პროპაგანდა სწარმოებს—რომ მიუძღვნან რაც შეიძლება მეტი შრომის ნაყოფი და გაგანოვის ქალს მიბაძონ. 22 დეკემბერს თბილისში შესდგებოდა პლენუმის სხდომა და თუ მთელი საქართველოს მშრომელი მასსები აღფრთოვანებული ყოფილან ამ მოვლენით. და აღუთქვამენ პლენუმს გაზარდონ შრომის ნაყოფი... ამ მხრივ აჭრელებულია მთელი თვეების მანძილზე ქართული «კომუნისტი»-ს ფურცლები.

ქართველ ქალებმაც უნდა დაჭიმონ ენერგია—ციტრუსოვანის ჩაის აკრეფით, განაცვიფრონ მთელი კავშირის მცხოვრებნი რადგან («კომ.» № 268. ნოემ.) საქართველოს ციტრუსოვანმა და ზოგიერთ სასოფლო სამეურნეო პროდუქციამ მიიღო საკავშირო ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქტები დანიშნულია რუსეთისკენ საექსპორტოთ, რომლის შემოსავალი ოდნავ არ ხმარდება მშრომელთა კეთილდღეობას, რადგან «კომუნისტის» იმავე ნომერში შავით თეთრზე აღნიშნული და ჩამოთვლილია მრავალი ციტრუსოვანი სოფლები, სადაც საცხოვრებელ ბინებში გამუდმებით წვიმა ჩამოდის. რაღა ფასი აქვს მაშინ—მეორე ადგილას გაწელილ მინდორზე ჩასურათებულ ჩაის მკრეფავ—მომღიმარე-მოციმციმე მანდილოსანს. რომლის გული დაკოდილ-დახეულიანებულია—იმის ფიქრით თუ წვიმა მოვიდა, მისი საცხოვრებელი ბინა წყალით აივსება...

აქვე გავიხსენოთ. როცა ხრუშჩოვი ამერიკიდან დაბრუნდა ჩრდილო მხარეებში მან სიტყვების კორიანტელი დაანთო ბედნიერ ცხოვრების განაღდებაზე. მისცენ შეკითხვები თუ როდის დაიწევს ფასები პირველ მოხმარების საგნებზე, ან როდის იქნება მაღაზიებში საკმაო საქონელი (იხ. «სოციალ. ვესტ.» № 11. ნოემბერი).

მან ამ შეკითხვაზე მეორე ქალაქში გასცა პასუხი: სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის ნაკლებობა არსებობს—ფასების დაკლება შეუძლებელიაო.

ეს ვითარება ჩვენს სამშობლოშიც არსებობს, დედა-ქალაქში, დაბებში თუ სოფლებში დუქნის თაროები ცარიელია. რატომ? .... ვაჭრობს სახელმწიფო. ისაა შემყიდველი, განმანაწილებელი და გამყიდველი. მსუბუქ მრეწველობის განვითარება და ბაზარზე იაფ ფასად პირველ-მოხმარების საგნების გამოყრა მის ინტერეს არ შეადგენს—მცირე რიცხვი კი საქონლის იწვევს ფასების ზრდას და არა დაკლებას.

ასეთ ჩიხშია მომწყვდეული საბჭოთა ეკონომიკა. საქართველოს გლეხობის კერძო ინიციატივა, მისთვის საჭირო მიწის რაოდენობით უზრუნველყოფა—როგორც ეს გაატარა დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ მა მთავრობამ—ქვეყანას შეუქმნიდა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს—უკეთეს არსებობის შესაქმნელად. დღეს კი სანამ მოსკოვიდან შემოტანილ სისტემით შეზღუდულია და შებოჭვილია მშრომელთა თავისუფალ მოქმედების და შრომის ასპარეზი—ასეთი შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

საქართველოში ძალადობით თავზე მოხვეული სისტემა უნდა მოიხსნას.

ბ. ს.

ქართულ გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოს დამფუძნებელი ყრილობა.

ამა წლის 10 იანვარს პარიზში პოლონელთა სახლში შესდგა გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოს დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობას ხსნის დილის 10 საათზე საორგანიზაციო კომისის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ცინცაძე შემდეგი სიტყვებით:

«ძვირფასო თანამემამულენო,

ხანმოკლე განშორების შემდეგ ისევ თავს ვიყრით ერთ ოჯახში. ადრე თუ გვიან, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. განშორებაში ერთნი ჩვენგანი განაგრძობდნენ, ეროვნულ მთავრობასთან კონტაქტში, მოპოვებულ პოზიციების გამაგრებას, ახალ-ახალის გამონახვას. მეორენი, ცდილობდნენ. იმავე მიზნით გამსჭვალულნი, როგორც პირველნი, სხვა გზების ძიებას... გზები, დაბოლოს, ერთმანეთს ხვდებიან, და შედეგს თქვენ ხედავთ: თავი ისევ ერთი კერის გარშემო მოვიყარეთ. იმ თავითვე აღებულ ხაზს და გეგმას, რამოდენიმეთ შეცვლილ დროს და გარემოებას ეს კრებული შეუფარდებს,—მიზანი ხომ ერთი გვაერთებს. გზაც ერთი აგვირჩევია. ჩვენი მიზანი, რომელიც შეადგენს «raison d'être»-ს ჩვენი არსებობისა, არის მიზანი და მისწრაფება ჩვენი ერისა—დაიხსნას თავი ორმოცი წლის ტყვეობისაგან; არა ერთხელ მან დაამტკიცა, რომ ურყევია მისი ნებისყოფა და ლტოლვა თავისუფლებისადმი, დემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრატიისა და ძალით მოტაცებულ დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული —ჩვენ კი გვინდა ვიყოთ მისი «პორტ-პარადი» თავისუფალ კაცობრიობის, საერთაშორისო დემოკრატიის წინაშე!

ჩვენ ვიკრიბებით ისეთ დროს, როცა პოლიტიკური ამინდი კარგათ არ გამოიყურება, მაგრამ ეს ამინდი ხომ ცვალებადია, ფუნქციაა ბუნების, ადამიანის და ისტორიულ მსვლელობის: უკანასკნელი კი ჩვენი მოკავშირეა!

თუ მართალია ის დებულება, რომ «ძალა ერთობაშია», ისიც მართალია და ეს უნდა გვახსოვდეს. რომ მექანიკური ერთობა მოასწავებს უძლურებას და ამძიმებს საქმიანობას: ეს ჩვენ უნდა ავიცდინოთ! ჩვენი ერის ინტერესების სადარაჯოზე მტკიცე დგომით ახალი ენერგია გამოვჭედოთ და..... ლელოს გავიტანთ».

საორგანიზაციო კომისიის წევრი ბ-ნი კ. სალია კითხულობს ყრილობის სახელზე მოსულ მილოცვებს.

განსაკუთრებული კმაყოფილებით ყრილობა ისმენს პროფესორ მიხეილ წერეთლის წერილს და აგრეთვე დეპეშებს: პროფ. ი. ნიკურაძისგან, პროფ. ალ. ნიკურაძისგან, პროფ. მიხ. ახმეტელისგან და პროფ. მიხ. მუსხელიშვილისგან.

ლიონის სოც. დემ. ორგანიზაციის სახელით კ. გუნიასგან.

სოფოს ს.-დემ. ორ—ციის სახელით ილ. სალუქვაისგან.

ყრილობა ერთხმად ადგენს გამოეცხადოს მხურვალე მადლობა როგორც პატივცემულ პროფესორთ ისე ორგანიზაციებს.

დაგვიანებით (მეორე დღეს) რედაქციამ მიიღო ყრილობისადმი მიმართვა ამერიკიდან ლადო არველაძის, სადაც იგი მხურვალეთ ესალმება ახალ გაერთიანებას.

კომისიის წევრი ბ-ნი ნ. ურუშაძე ყრილობას აცნობს პოლიტიკურ ძალების გაერთიანების მიზნით წარმოებულ ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგს, რომელიც საბოლოოდ უშედეგოთ დამთავრდა. ამ მოლაპარაკების ისტორიაში გარდამტეხ მომენტათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ორგანიზაციების კონფერენცია და იქ განსვენებულ კონსტანტინე კანდელაკის მიერ გაკეთებული მოხსენება შემდეგ თემაზე: «საერთაშორისო მდგომარეობა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის დანიშნულება». კონფერენციის მიერ მიღებულ პოლიტიკურ რეზოლუციაში ეროვნულ გაერთიანების საჭიროება ხაზგასმით იყო აღნიშნული. ამის შედეგათ სოც.-დემ. პარტიის ბიურო სთხოვს თათბირებით მოწვეულ თათბირებში მონაწილეობას იღებდენ ყველა ქართულ პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლები.

დასაწყისში თათბირის მუშაობა დადებითად მიმდინარეობდა. თათბირის ორი სხდომის შემდეგ, მცირე შესწორებით მიღებულ იქნა ბ. ნ. ცინცაძის მიერ წარმოდგენილი პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური დეკლარაცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა მომავალ გაერთიანებას. თათბირმა მიიღო აგრეთვე წარმოდგენილი წესდების ყველა მთავარი მუხლები სამწუხაროთ თათბირის უკანასკნელ სხდომაზე—ნაც.-დემოკრატების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ ისინი არ ცხოვნენ მიღებულად არც დეკლარაციის და არც წესდების მუხლებს. ასეთ პირობებში სოც.-დეოკრატებმა შეუძლებლად სცნეს მოლაპარაკების გაგრძელება. სოც. ფედერალისტების და «თეთრი გიორგის» წარმომადგენლებმა მოლაპარაკების ჩაშლის პასუხისმგებლობა დააკისრეს ნაც.-დემოკრატების წარმომადგენლებს და რამდენიმე დღის შემდეგ სოციალ ფედერალისტებმა და «თეთრი გიორგის» ხელმძღვანელებმა მიმართეს სოც.-დემ. ბიუროს წინადადებით—გაეგრძელებიათ მათთან მოლაპარაკება გაერთიანების მიზნით.

სოციალდემოკრატებიდან დადებითი პასუხის შემდეგ, სამ პოლიტიკურ ორგანიზაციებისგან შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელმაც ჩაატარა ნაყოფიერი მუშაობა, მოახდინა შეთანხმება მთავარ საკითხებში და მიიწვია გაერთიანებულ საბჭოს დღეს აქ შეკრებილი ყრილობა.

ბ-ნი კ. სალია ყრილობას აცნობს პოლიტიკურ დეკლარაციას. მომავალ საბჭოს წესდების და აღმასრულებელ ორგანოს შინა-რეგლამენტის პროექტებს. მოკლეთ აღნიშნავს ამ მხრივ გაწეულ დადებითი შრომას კომისიის ბიერ და მიუწოდებს ყრილობას გულდასმით მათ განხილვას. ყრილობა გადაიდო ნაშუადღევის სხდომისთვის.

მეორე სხდომა: თავმჯდომარეობს ბ ნი გიორგი კერესელიძე. მდივნობს ბ-ნი გოგი წერეთელი.

ყრილობა შეუდგა დეკლარაციის. წესდების და საორგანიზაციო საკითხების გამო წარმოდგენილ პროექტების მუხლობრივ განხილვას. რაც იწვევს გაცხოველებულ კამათს, შეკითხვებს და კომისიის წევრებისგან სათანადო განმარტებების მიცემას. რამოდენიმე შესწორების შენდეგ წარმოდგენილი პროექტები ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ ბ-ნი ნ. ცინცაძე აკეთებს მოხსენებას საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მოკლეთ აცნობს ყრილობას ეროვნულ საბჭოს დამოკიდებულებას ამერიკულ კომიტეტთან, რადიოსთან, მცირე ერთა განმანთავისუფლებელ ლიგასთან, მიუნხენში არსებულ სამეცნიერო ინსტიტუტთან და სხ. აღნიშნავს ამ მხრივ ქართულ სექციის მიღწევებს წარსულში და უსურვებს საბჭოს მომავალ ორგანოს ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას.

ამის შემდეგ საბჭო ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს ბ. ბ. ნ ცინცაძეს გ. ერაძეს, ნ ურუშაძეს. დ. კლდიაშვილის.

საბჭო აგრეთვე ირჩევს თავის პრეზიდიუმს რომელშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიან საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ ორგანიზაციებიდან თითო წარმომადგენელი და ერთი უპარტიო.

გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოს შემადგენლობა:

სოციალდემოკრატები	10
სოციალის ფედერალისტები	5
«თეთრი გიორგი»	5
ახალი თაობის ორგანიზაცია	2
უპარტიონი	3

თავმჯდომარე ბ. გ. კერესელიძე აცხადებს, რა დაარსებულად გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოს, არჩეულად მის ორგანოებს, უსურვებს მათ ნაყოფიერ და შეთანხმებულ მუშაობას და სხდომას აცხადებს დახურულად.

——

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ ის საქმიანი განწყობილება, რომელიც სუფევდა ყრილობაზე, სურვილი ურთიერთ გაგების, დაახლოვების და მჭიდრო შეკავშირების, ამით იყო გამოწვეული, რომ ყრილობა არ გაჰყვა დაუთავებელ კამათის გზას, დაივიწყა თუ მის შემადგენლობას შორის წარსულში რაიმე დავა არსებობდა, უკუაგდო იგი და ერთ მიზნისკენ მიმართა მთელი ცდა—შეკავშირებულიყო ერთ ორგანოში, მტკიცე გადაწყვეტილებით—ქართველი ერის უფლების დაცვისთვის—უცხოეთის წინაშე—საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

ქართულ მებრძოლ პოლიტიკურ ემიგრაციის წინააღმდეგ სხვადასხვა გზით გამოლაშქრებას მან უპასუხა—ერთობით, ერთად დგომით, ფხიზელი და ფრთხილი მიდგომით ყველა საკითხებისადმი.

ჩვენს სურვილს გამოვსთქვამთ, რომ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შესძლოს ემიგრაციაში გაფანტულ საჭირო პოლიტიკურ ძალების თავის გარშემო შემოკრება.

XX.

იმპერიალიზმი ერთა ძმობის და საბჭოთა პატრიოტიზმის საფარ ქვეშ *)

ლენინის ბრძნული დებულებით, სოციალიზმმა ეროვნებათა კონსოლიდაციის ნაცვლად, ერთა ძმობის განვითარების გზით, უნდა მოიტანოს ყველა ერების ერთ ერად გადაქცევა მთელ მსოფლიოში; ხოლო მისი მოწაფეების აზრით. მანამდე უნდა შემზადდეს ასეთი გათქვეფის პირობები საბჭოთა კავშირის ფარგლებში, სადაც სოციალიზმი უკვე განხორციელებულია. ამისათვის ერთი ასეთი პირობათაგანია საბჭოთა პა-

*) ამოღებულია «რადიო თავისუფლების» გადაცემებიდან. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიოტიზმის გაღვივება და გაძლიერება. ეს დებულებანი თავისთავად უფრო თეორიული სპეკულაციის ნაყოფია. და არა რეალურ სინამდვილის ანალიზზე დამყარებული დასკვნა. მაგრამ ჩვენ ამჟამად მისი მცდარობა კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, რომ იგი საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკას უძევს საფუძვლად და ერთა ძმობის ნაცვლად. ერთა ბრძოლისა და სიძულვილის მიზეზად არის გადაქცეული.

საქმე იმაშია, რომ პატარა ერს, მათ შორის ქართველ ერსაც. შინაური კომუნისტი-კალმოსნები უქადაგებენ, რომ ასეთი ერთა გათქვეფა მისი განვითარების აუცილებელი, გარდაუვალი შედეგია, რომ ყველა ერთაგან ულმობელი ისტორიული კანონზომიერებით. უნდა შეიქნას ერთი საბჭოთა ადამიანი. საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალული. მაგრამ ვინ ვერ მიხვდება, რომ დიდი და პატარა ერის ერთად შერწყმით დიდი ერი ოდნავადაც არ დაკარგავს თავის ეროვნულ ძირითად ხასიათს. პატარა ერი კი სრულიად გაქრება, როგორც მდინარე ქრება, როცა ზღვას შეერთვის. საბჭოთა კავშირში არის დიდი ერი, რომელიც სწორედ ამ დანიშნულებისთვის არის შერჩეული კომუნისტური ხელისუფლების მიერ. კომუნისტურ თეორეთიკოსებს ამ შემთხვევისთვის აქვთ წამოყენებული დამატებითი კონკრეტიული დებულებები. კომუნისტური ბედნიერება მოუტანა ყველა ერებს ლენინის მოძღვრებამ. ცხადია, ლენინის ენა უნდა გახდეს საყოველთაო ენად. ზოგიერთი ერთგული კალმოსნები, უფრო შორსაც მიდიან. მათი მტკიცებით. პატარა ერებმა უკვე მოახდინეს თავისთვის არჩევანი და რუსული ენა მიიღეს მეორე მშობლიურ ენად. შემდეგი განვითარების პროცესში ეს მეორე ენა თავისთავად ზედმეტს გახდის პატარა ერთა ენების არსებობას. ესაა კომუნისტების აზრით, აუცილებელი პროცესი საბჭოთა კავშირის ერთა განვითარების ისტორიული კანონისა. და ამ ვითომდა ისტორიულ კანონზე შენდება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა პატარა ერებისათვის. ესაა ტკბილი სიტყვებით მწარე აბების მიწოდება ჩასაყლაპავად. ამ საფუძველზე ხდება იძულებით პატარა ერთა ენაში რუსული ელემენტების შეტანა. ამ ერთა რესპუბლიკების რუსულ მცხოვრებლებით ავსება, რუსული ენის ძალით თავზე მოხვევა, ადგილობრივ ინტელიგენციის საბჭოთა სხვა რაიონებში გადასროლა, მათ ადგილზე ჩამოსახლება ლენინის ენის ერის წარმომადგენლებისა. ზოგან ხდება ახალი წარმოების ან მთელი ქალაქების გაშენებაც კი უცხოური, უმთავრესად. რუსული ელემენტების ასავსებათ, ე. ი. კოლონიზატორული მიზნების მისაღწევად.

საბჭოთა კომუხისტები ორი მხრივ აწარმოებენ ამ შემთხვევაში პროვოკაციულ პოლიტიკას. რუსის ხალხში ცდილობენ გააღვიძონ საბჭოური იმპერიალისტური პატრიოტიზმი, რაც იმავე დროს ცხადდება რუსულ პატრიოტიზმათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ი. წმინდა ეროვნული პატრიოტიზმი კი უნდათ ჩააყენონ იმპერიალისტურ-კოლონიალური პოლიტიკის სამსახურში. ხოლო პატარა ერებში იწვევენ ამით რუსის ხალხისადმი უკმაყოფილებას და ხშირათ სიძულვილსაც.

ამ ეროვნული მტრობის გაღვივებით ცდილობენ კომუნიზმისადმი სიძულვილი, რომელიც ასე ძლიერია პატარა ერებში, რუსული ერის წინააღმდეგ მიმართონ, ხოლო ეს უკანასკნელი მოკავშირეთ გაიხადონ თავის დესპოტიური ბატონობის გასამაგრებლად. ამ რიგად ერთა ურთიერთ გადაკიდებით თავის ბატონობის განმტკიცება,—აი რა უდევს საფუძვლად საბჭოთა კომუნისტურ მთავრობის პოლიტიკას! და ეს არის, ვიმეორებთ, ყველაზე საშიში ფორმა საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკისა. ისტორიამ ბევრი იცის, ასეთი ერთა და სჯულთა დაპირდაპირება იმპერიალისტური მიზნებისათვის. მაგრამ ასეთი ფარისევლური ფორმით, ასეთი გარეგნულათ კეთილშობილი და არსებითად ბოროტი საქმიანობით კი მხოლოდ საბჭოთა კომუნისტურ მთავრობას აქვს იგი შემოღებული.

ვფიქრობთ და ვიმედოვნებთ, რომ კომუნიზმის ამ ბოროტ მისწრაფებასაც საბჭოთა ერები დიდი და პატარა. ვისაც უყვარს თავისუფლება ერის და ადამიანის პიროვნებისა, სათანადო პასუხით შეხვდებიან.

რ. არსენიძე.

გმირი-პოეტი!

როგორც 1848 წლის—ისე 1956 წლის უნგრეთის ხალხის აჯანყებას—ჰქონდა ერთი მიზანი, ერთი დანიშნულება და მისწრაფება, მის დროშაზე ეწერა უცხო ძალის განდევნა, დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოს დაწესება.

როცა ბუდაპეშტის ქუჩებში უნგრელ პატრიოტული ახალგაზდობა სამშობლოს სიყვარულით, მისი განთავისუფლების სურვილით გაკაჟებული მოსკოვისგან შემოსეულ ტანკების ცეცხლში ვარდებოდენ, ტანკის აფეთქებასთან ერთად სიცოცხლეს ესალმებოდენ, ანთებულ ალში იწვოდენ—უკანასკნელ სულის ამოსვლამდე მათ გულის სიღრმიდან ისმოდა რევოლიუციონური სიმღერა გმირ პოეტის შედგენილი, რომელიც გახდა უნგრეთის ხალხის ბრძოლის სიმბოლო,—თავისუფლების დროშა.

თითქმის საუკუნის უკან პოეტის ყიჟინა თითეულ უნგრელის გულში ჩაიმარხა, მის გულის ფიცარზე დაიწერა. გადაეცა თაობიდან თაობას და 1956 წელშიც ისე როგორც 1848 წელს—როცა უნგრეთს რუსეთის ჯარები შემოესია, ხმა პეტეფისა გაისმა ქალაქის ყოველ მოსახვევში—ვითარცა იმედის და შვების ტალღა, გამარჯვების წინამორბედი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«აღდგენით უნგრელნო
ახლოვდება დღე თავისუფლების,
ან ეხლა ან არასოდეს,
შევფიცოთ—დავამსხვრევთ ბორკილებს
მონობის
ვიქნებით თავისუფლები
არასოდეს მონები.
გაკიცხვა მათ ვინც სიკვდილს
უშინდება,
სირცხვილი მათ, ვინც სიკვდილს
ეროიდება
გაკიცხვა მათ—ვინც სამშობლოს
ხსნას
მსხვერპლად არ დაედება;
უნგრეთი დიდებით შეიმოსება
წარეცხავს მტრის ტალღას
და მკვდრეთით აღსდგება» და სხ.

უნგრეთის ეროვნულ გმირ-პოეტის პეტეფის ცხოვრება ესაა თვით ისტორია 1848 წლის უნგრეთის რევოლიუციისა.

სანდორ პეტეფი უსახსრობის გამო სასწავლებლიდან დათხოვილი ეწერება მოხეტიალეთა ჯგუფში, დადის სოფლიდან სოფლად სიმღერითა და დეკლამაციით ირჩენს თავს, ამავე დროს ეცნობა ბატონ-ყმურ ცხოვრებას, ხდება ჩაგრულთა მედგარი დამცველი, ფიცს სდებს შეებრძოლოს არსებულ სოციალურ უსამართლოებას და ემსახუროს დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეს.

1848 წელს უნგრეთში გაისმა სასტიკი პროტესტი უცხო ბატონობის წინააღმდეგ.

უნგრეთის სენატში—რომელიც თათბიროობდა პრესბურგში—ისტორიული სიტყვით გამოდის ოპოზიციის მეთაური კოშუტი, ის მოითხოვს შემდგარი იქნას უნგრეთის მთავრობა—რომელიც პასუხისმგებელი იქნება უნგრეთში არჩეულ პარლამენტის წინაშე. კოშუტის პროგრამა გადაეცა უმაღლეს სენატს, სადაც არისტოკრატიული წარმომადგენლობა ზანტათ შეუდგა მის განხილვას.

მართველ წრეების ყურამდე მოდიოდა ხმები, რომ ახალგაზდა პოეტის პეტეფის მეთაურობით დაიწყო მოძრაობა. რომელიც მოითხოვს კოშუტის მიერ წამოყენებულ ეროვნულ-პოლიტიკურ მოთხოვნილებას. ვენა დიდ იმედებს ამყარებს დუნაის ნაპირებზე დაბინავებულ ჯარებზე. 13 მარტს ვენის საზოგადოებაშიშით ტყობილობს მეტერნიკის ჩამოგდებას. შექმნილ ატმოსფერით სარგებლობენ უნგრელი სტუდენტები—ვენის უნივერსიტეტში ახდენენ უდიდეს დემონსტრაციას—კითხულობენ უნგრეთის ხალხის მოთხოვნილებას.

ეს მოძრაობა გადადის ბუდაპეშტში, ამ დროს პეტეფი სოფელში იმყოფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მე ვიყავი—სოფლად ამბობს პეტეფი,—როცა ხმა შორიდან განმანთავისუფლებელ მოძრაობისა გაისმა. მან დაიპყრო ჩემი გონება, ჩემი გული და სული,—ააფორიაქა ჩემი გრძნობა—უცებ წამოვარდი, სარივით დავესვე და დავიყვირე: «გაუმარჯოს რესპუბლიკას».

14 მარტს ბუდაპეშტის ახალგაზდობა გადადის შეტევაზე—პეტეფის მეთაურობით ნაციონალურ მუზეუმის ეზოში მრავალრიცხოვან მიტინგზე პეტეფი კითხულობს თავის რევოლიუციონურ ლექს: «აღსდეგით მადიარებო». და აცხადებს 12 მუხლისგან შემდგარ მოთხოვნილებებს. ნაშუადღევს ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტი გამოდის ამ მოთხოვნილების დამცველად და დგება სხვადასხვა ორგანიზაციებიდან რევოლიუციონური კომიტეტი. ამავე დროს პრეს ბურგიდან სენატი გადმოდის ბუდაპეშტში. დგება დროებითი მთავრობა და ფაქტიურად ცხადდება დამოუკიდებლობა.

ვენის აპარატი ამუშავდა. ის აგვიანებდა უნგრეთის მოთხოვნილებების გარჩევას, რომ ძალა მოეკრიფა. როცა ვენიდან ჯარები დაიძრა—ბუდაპეშტის მთავრობაში შეიქნა განხეთქილება. მოძრაობას ჩამოსცილდა წარჩინებული არისტოკრატია. ერთი მათი წარმომადგენელი ზსიშლი—რუსეთის ხელმწიფესთან გაიქცა—დახმარებისთვის—რომ ა ჯარ ყენების ჩაქრობაში მას დახმარებოდა. ბევრმა მიიღო მაღალი თანამდებობანი. მაგრამ ხალხი არ დანებდა ვენას. გაგრძელდა ბრძოლა. ვენის მთავრობა მიმართავს პოლონეთში მყოფ რუსის გენერალ პასკევიჩს, სთხოვს მას დახმარებას, (300.000 ჯარისკაცი)—რუსეთის ხელმწიფე დასტურს აძლევს და აცხადებს—ის აგზავნის ჯარებს უნგრეთში—სადაც თავი მოიყარეს 1832 წლის პოლონელმა გაძევებულებმა, დევნილებმა და აიღეს ხელისუფლება. უნგრეთის მთავრობა შევსებული და გამაგრებული—წინ აღუდგა რუსეთს, საქვეყნოთ ამხილა უცხო სახელმწიფოს ჩარევა და საქვეყნოთ აღიარა, რომ უნგრეთის ხალხი თავს არ მოიხრის მოსკოვის ტირანიის წინაშე და გააგრძელებს ბრძოლას დამოუკიდებლობის და თავისუფლებისთვის.

კოშუტმა სთხოვა დახმარება უცხოეთს. მაგრამ ვერსად გამოძახილი ვერ პოვა. ორმა პოეტმა სცადა გაეღვიძებია კაცობრიობის სინდისი. პირველი იყო ჰეინე, რომელ მაც ამხილა პატარა ერის წვალება-ტანჯვა—მოუწოდა განათლებულ კაცობრიობას ამდგარიყო თავისუფლების დასაცავად. ხოლო პეტეფმა თავის პათეთიურ მიმართვაში გამოსთქვა განაწამებ ხალხის უდიდესი გულისტკივილი და წყრომა.

«ევროპაში სიწყნარეა და სიწყნარე, მისი რევოლიუციები ჩაქრენ. სირცხვილი რადგან მათ სიჩუმეში არ მოსჩანს გამარჯვება თავისუფლების. ლაჩრულად მიტოვებულ უნგრელებს უჭირავს ხმალი მახვილი,—უნდა გული არ გავიტეხოთ... და სხვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ როცა ირგვლივ ყველას სძინავს,
ღამის სიბნელეში,
შემოგვხედე, შემოგვხედე თავისუფლებავ—
იცანი ხალხი შენი
მაშინ როცა ცრემლებსაც არ ღვრიან
ჩვენ მსხვერპლად მოგვაქვს
სისხლი ჩვენი.

——

ავსტრიის და რუსეთის შეერთებული ჯარები მიდიან ბუდაპეშტზე. გმირი პოეტი პეტეფი სთხოვს კოშუტს—გაგზავნილ იქნას ის ჯარში გენერალ ბემთან, რომლის ჯარი უმთავრესად შესდგებოდა გლეხებიდან, სოფლის დედა-კაცებიდან და მოზარდ ახალგაზდობიდან. რომელიც კიდევ უმკლავდება რუსის ჯარებს ტრანსილვანიაში.

——

პეტეფი დიდი აღტაცებით მიიღეს ჯარში—გენერალი გადაეხვია. გადაკოცნა პეტეფი, რომელიც მიუხედავად გენერლის უარისა ჩადგა მებრძოლთა მოწინავე რაზმებში.

——

გენერალი ბემი ხუთი ათასი უნგრელებით, გაუმკლავდა 16.000 კბილებამდე შეიარაღებულ კაზაკებს და შეინარჩუნა პოზიციები. რამოდენიმე დღის შემდეგ რუსებმა რკალი შემოარტყეს უნგრელებს. გენერალმა გასცა განკარგულება—პოეტისთვის ჩაეცმიათ სამოქალაქო ტანსაცმელი და გაეყვანათ ბრძოლის ველიდან. პეტეფი განკარგულებას არ დაემორჩილა, გაიპარა და ჩადგა მოწინავე ხაზზე. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა.

თითეული უნგრელი—კაცი და ქალი—ლომებივით იბრძოდენ...

მცირე რიცხოვანმა ჯარმა ველარ გაუძლო უკეთ შეიარაღებულ მრავალ რიცხოვან რუსების ჯარს და დაიხოცნენ ბრძოლის ველზე.

დაჭრილთა კვნესა, იმედ-გაცრუებული ყიჟინა აყრუებდა მიდამოს, ისმოდა ხმები: «ვკვდებით სამშობლოსთვის», «ძირს ჯალათები», «გაუმარჯოს უნგრეთს».

——

რუსები არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ დაჭრილებს, ათასობით მკვდარი და დაჭრილები ჩაყარეს ორმოში და წააყარეს მიწა.

ერთ ორმოდან წამოვარდა დაჭრილი და დაიძახა:—«მე ჯერ ცოცხალი ვარ—რას ჩადიხართ»... მაგრამ მისი ხმა ჩაწყდა—მას მიწა წაეყარა. ეს იყო სანდორ პეტეფი გმირი უნგრელი პოეტი თავისუფლებისთვი მებრძოლი—მისი მომღერალი. მისი რევოლიუციონური სიმღერები თითეულ უნგრელის გულში ჩამარხული, აღვივებს სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლას—ხალხი—ასეთი აღადგენენ მშობლიურ კერას.

ლეისპირელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ჟორდანიას საფლავზე.

როგორც წარსულში—ამა წლის 17 იანვარს ქართველმა საზოგადოებამ თავი მოიყარა საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას სასაფლაოზე, მისი გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

სიჩუმითა და უდიდესი მოკრძალებით თავი მოიხარეს პრეზიდენტის წინაშე,—რის შემდეგ ქალბატონ ინამ დამსწრენი მიიწვია სახლში,—ნ. ჟორდანიას სამუშაო ოთახში—გაშლილის სუფრის თავს ამშვენებდა ნოეს—სურათი წარმოთქმულ იქნა მოსაგონარი სიტყვები, მოსმენილ ფირფიტაზე გადაღებული ვლასა მგელაძის სიტვვა 26 მაისზე და ნ. ჟორდანიას სიტყვა—აგვისტოს აჯანჯების შესახებ.

ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული ალ. მათიერიშვილის მიერ სოფლის სათვისტომოს საწვიმო სხდომაზე.

ოცდა ექვსი მაისი თვითეული ქართველის გულში ცეცხლის ასოებით ჩაწერილი ჯადოსნური სიტყვებია.

ოცდა ექვსი მაისი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის, გახახლების, ქართველი ერის აღდგომის მზიანი დღეა.

ოცდა ექვსი მაისი უცხოეთში ტანჯული ქართველების მანათობელი ვარსკვლავი და მისი იმედმომცემი, ხალისიანი მომავლის შემომქმედია.

ამ დღეს ქართველი ერი, მისუსტებული, ძალა მიხდილი, აღსდგა, დამოუკიდებელ ერთა კრებულში ხელახლა შევიდა.

ამ დღეს ქართველმა ერმა აღადგინა ყველა. მისთვის უკანონოთ და უსამართლოთ ჩამორთმეული, სახელმწიფოებრივი ატრიბუტები.

ამ დღეს ქართველმა ერმა გაშალა და გააღრმავა ის კულტურული მუშაობა, რომელიც არასდროს შეწყვეტილა. ხოლო ჩვენი დამონების პერიოდში დასუსტებული იყო.

დღეს ოცდა ექვსი მაისი დაჩრდილულია, იგი კანონს გარეშეა გამოცხადებული.

ამან ჩვენ გული არ უნდა გაგვიტეხოს და მომავლის იმედი არ უნდა წაგვართვას, რადგანაც ოცდა ექვსი მაისის აღდგომის ნიშნები ბევრია:

ძველი კოლონიალური სისტემა დაინგრა და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფონი შენდებიან; ძველი, ოდესღაც ძლიერი, უკანასკნელ საუკუნოებში მისუსტებული. თითქმის საბოლოოთ გამოფიტული აზია აღსდგა და კაცობრიობას ახალ სიტყვას, ახალ ცხოვრებას უმზადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრიკის ზანგებიც კი; ის ზანგები, რომლებსაც თითქოს განვითარების და წინსვლის უნარი არ ჰქონდათ, დღეს ეროვნულ ორგანიზაციებში ჩაჯდენ, პოლიტიკურ სუვერენობას ეხიარენ და განათლებულ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეთა თანატოლ შეგნების მქონე პარტნიორებათ გახდენ.

ფედერაცია, კონფედერაცია, კომონველტი. კომუნოტე —აი სახე ერთა თანამედროვე დამოკიდებულებისა.

დამონების, დაქვემდებარების ნაცვლათ, ხელის შეწყობა და დახმარება: დახმარება ეკონომიური და კულტურული.

ასეთ ხანაში, როცა წარსულის არ მქონე, ეროვნულ მეობას მოკლებული ხალხებიც კი სუვერენობას იძენენ, შეუძლებელია ისეთი ერების დამონება, როგორიც მრავალ საუკუნიანი ისტორიის მქონე, მაღალ კულტურას ნაზიარები საქართველოა.

ვერც ერთი სახელმწიფო, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, ამ საერთო მოძრაობას ვერ ასცდება და კაცობრიობის განვითარებას ვერ აუვლის გვერდს.

მაშასადამე ვერც საბჭოთა კავშირი ასცდება ამას და ჩვენი ერი აღსდგება და თავის სუვერენულ უფლებებს მთლიანათ დაიბრუნებს.

ეს პროცესი საბჭოთა კავშირში უკვე დაიწყო: ყველა ამ ბუმბერაზის მიერ დაქვემდებარებული ერები, წინეთ მთლიანათ დადუმებულნი: პოლონეთი, ჰუნგრეთი. თვით ჩვენი სამშობლო დღეს თავს სწევენ, რუსთა სახელმწიფოს ებრძვიან და თავიანთი ეროვნული ინტერესების წინ წამოყენებას ცდილობენ.

მიუხედავათ რუსიფიკატორთა ძალდატანებისა, საბჭოთა კავშირში მოქცეული ერები ახერხებენ თავიანთი ეროვნული კულტურის შენახვას, განვითარებას. გაღრმავებას და განახლებას.

ჩვენთვის უდაოა, რომ ეს კულტურული წინსვლა გადაარჩენს მათ გარუსებისა და გათქვეფისაგან; რომ ეს კულტურული ძალა შეუქმნის მას ისეთ პირობებს, რომ მისი პოლიტიკური დამონება შეუძლებელი გახდება და ისინი მოიპოვებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს.

ჩვენი დღევანდელი შეკრებაც ამ ბრწყინვალე მომავლის მისწრაფებაა.

დღევანდელ დღეს ჩვენ მტკიცე რწმენით გამოვსთქვამთ იმედს, იმედს საფუძვლიანს და ურყევს, რომ ოცდა ექვსი მაისის მხე ისევ გამობრწყინდება და თავისი ძლევამოსილი, სასიცოცხლო სხივებით საქართველოს ბრძოლით დაღლილ ორგანიზმს გაამაგრებს და განაახლებს.

გაუმარჯოს საქართველოს და მის ბრწყინვალე მომავალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრუშჩოვი ამერიკაში.

საბჭოთა პრესა აღტაცებულია ხრუშჩოვის მოგზაურობით ამერიკაში. მისი ფურცლები აჭრელებულია იმ შედეგების აღნიშვნით, რაც ამ მგზავრობას გამოუწვევია. ხრუშჩოვიც დიდ მადლობას უხდის ყველას და იმ ამერიკელ მოქალაქეთ, რომლებსაც მისთვის მისალოცი წერილ ით მიუმართავთ (იხ. ქარ. «კომ.» № 283). მაგრამ იგი უმალავს თავის ქვეშევრდომთ, რომ მისი შინ დაბრუნების შემდეგ რა შეფასება მისცეს მის საპროგრამო გამოსვლებს ამერიკის პასუხისგებელ პირებმა და გამოქვეყნდა თავისუფალ ქვეყნების პრესაში ვიცით თუ რა აღშფოთება გამოიწვია ხრუშჩოვში.—შეერთებულ შტატების სენატში წარდგენილ რეზოლიუციამ, რომელიც იცავდა საბჭოთა ფარგლებში მოქცეულ ერთა უფლებებს და მოითხოვდა მათ დამოუკიდებლობის აღდგენას. აქვე მოგვყავს ოთხი სენატორის განცხადება (იხ. «ნაშე ობშჩეე დელო» № 19).

«ჩვენ, ამერიკის სენატორები, რომლებმაც მონაწილეობა მივიღეთ—სენატისადმი წარდგენილ კანონის გამო მუშაობაში,—საბჭოთა ფარგლებში მომწყვდეულ დაჩაგრულ ერების შესახებ.—სურვილი გვაქვს ახლნა-განმარტებით გამოვიდეთ როგორც ბ-ნ ხრუშჩოვის, ისე დაჩაგრულ ერთა საყურადღებოთ, რომ ჩვენ თავისუფლათ არჩეულ ხალხის წარმომადგენლებმა იმ რეზოლიუციაში აღვნიშნეთ რწმენა და იმედი, რათა ყველა ერები, რომლებიც დღეს კომუნისტურ მართველობის ქვეშ იმყოფებიან, უნდა განთავისუფლდენ. ამ ერებში ჩვენ ვგულისხმობდით არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის,—არამედ რუსეთის შიგნით მოქცეულ ერების განთავისუფლებას.

«მანამ სანამდის საბჭოთა მოქალაქეს უფლება არ ექნება თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი. წაიკითხოს და წეროს რაც სურს და როგორც სურს. ირწმუნოს და ილოცოს—უსმინოს რადიო გადაცემებს, იმოგზაუროს უცხოეთში, მიიღოს მონაწილეობა თავისუფალ არჩევნებში, აირჩიოს პირები სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებიდან;—აი სანამდის მოქალაქის ეს ელემენტარული უფლებები არ იქნება განხორციელებული და დაცული საბჭოთა რუსეთში, მანამდის ჩვენ გავაგრძელებთ ვამხილოთ ჩვენი სურვილები და აგრეთვე გამოვთქვამთ იმედს და მივმართავთ დაჩაგრულ ერებს, რომ ისინი მოიპოვებენ დაკარგულ თავისუფლებას და აღადგენენ თავიანთ დამოუკიდებლობას».

კიდევ მეტი. ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს: « .... მართალია მოწოლა ბერლინის საკითხის მიმართ შენელდა, მაგრამ არსებითად არცერთ სადაო საკითხების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარება არ მომხდარა და არც იყო მოსალოდნელი. ხრუშჩოვი გვარწმუნებს, რომ მიუხედავათ იდეოლოგიურ განსხვავებისა, ჩვენ უნდა გამოვნახოთ საერთო ენა. ძნელია ამის დაჯერება, როცა წარსულში მრავალი არა გულწრფელი გამოსვლა და განცხადებები მოგვისმენია საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის... ხრუშჩოვი არ მალავს თავის საბოლოო მიზნებს. ჩვენ მოგველის მრავალი შემოტევები, დაწოლა და მოტყუილება...

.... ბევრ შემთხვევაში—ჩვენ წინ იქნება მძიმე ამოცანები —უფრო რთული—ვინემ აქნობამდე. მაგრამ აუცილებელი საჭიროა მათი შესრულება, რომ ცივილიზაცია არ დაიღუპოს»... (იხ. «ნ. ობშ. დელო» № 23).

დასასრულ ჰერტერი ამბობს, რომ შეუძლებელია ძალების შესუსტება, რადგან ჩვენი დაპირისპირება კომუნიზმთან —სდგას პირველ რიგში და ყველა მოსაზრებაზე მაღლა». .

მეორე გავლენიანი პოლიტიკური პიროვნება, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი აჩესონი კიდევ უფრო ნათლად, ამკარად და რეალურად აფასებს მდგომარეობას:

... «ხრუშჩოვი გულში უმიზნებს ევროპას. როცა ის მოითხოვს ბერლინიდან ამერიკა-ინგლისის ჯარების გაყვანას... უნდა ნათლად წარმოვიდგინოთ რა მოლაპარაკებაში უნდა ჩაგვითრიოს ჩვენ ხრუშჩოვმა. წინადადებას გვაძლევს მივილაპარაკოთ მასთან—თუ როგორ შევინარჩუნოთ ჩვენი არსებობა. გვპირდება, რომ მთლიანად ყელს არ გამოგვჭრის არამედ ნახევრად... სწორედ აქნობამდე მიგვიყვანა ჩვენ იმ შეხედულებამ, თითქოს ყოველგვარი მოლაპარაკება საჭიროა და სასარგებლო.

აუცილებელი საჭიროა თავდაცვითი ორგანოების გაძლიერება. რომელმაც უდიდესი ყურადღება უნდა მიაპყროს აღმოსავლეთ ევროპას და არას შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ ხრუშჩოვის წინადადება მისი დაყოფის შესახებ. შეუძლებელია აგრეთვე განიარაღების საკითხებში მივიღოთ ხრუშჩოვის პირობები»....

ხრუშჩოვის ღიმილის პოლიტიკამ მხოლოდ მეტი სიფხიზლე შეიტანა თავისუფალ ქვეყნების და ამერიკის შეერთებულ შტატების საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ამერიკის პრეზიდენტის მოგზაურობა აფრიკა-აზიაში, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს—ტრიუმფით მიმდინარეობს, როცა ეს სტრიქონები იწერება და მოწმობს თავისუფალ ქვეყნების დარაზმვას დიდ დემოკრატიულ ქვეყნის მეთაურობის ქვეშ—მოსკოვის შემოტევისგან გადასაჩენათ...

ბ. ბადრიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატონ რ. გაბაშვილის
მოგონებათა წიგნის შესახებ.

კვირას, 25 ოქტომბერს, 1959 წელს, პარიზში, პოლონელთა სახლში, შესდგა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს თაოსნობით მოწვეული ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების და პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირი ბ-ნ რ. გაბაშვილის მიერ გამოცემულ მოგონებათა წიგნის «რაც მახსოვს» შესახებ. ამ თათბირს დაესწრენ: საქ. სოც.-დემ. პარტიისაგან: ბ ნნი შ. აბდუშელი, პ. სარჯველაძე. ნ. ცინცაძე, პ ინწკირველი, ნ. ორაგველიძე და გ. ბოლქვაძე. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის წარმომადგენელი უცხოეთში ბ-ნი ი. გობეჩია. «თეთრი გიორგი»-საგან ბ ნი კ. სალია და დ. კლდიაშვილი. სოციალისტ-ფედერალისტებისაგან: ფ. შარაძე. ნ. ურუშაძე და თ. ანთაძე. თათბირს დაესწრენ მოწვეულ ნი: ქ ნი ნელი მდივნისა, ბ ნნი: გ. კერესელიძე. დ. სხირტლაძე. ვ. ციციშვილი და გ. წერეთელი. თავმჯდომარემ ბ-ნ ნიკო ურუშაძემ გააცნო დამსწრე საზოგადოებას თუ რა პირობებში და ვინ იყო მოწვეული მიმდინარე თათბირზე, საიდანაც გამოირკვა, რომ მოწვეულ ორგანიზაციებიდან მას მხოლოდ ნაციონალ-დემოკრატები არ ესწრებიან. კრების მდივანმა თ. ანთაძემ წაიკითხა ქალბატონ ს. კედიას მეტათ მგრძნობიარე და იმავე დროს ძლიერ დასაბუთებული წერილი მიმართული ბ-ნ რ. გაბაშვილის წინააღმდეგ. ამის შემდეგ თათბირმა მოისმინა ბ ნ ურუშაძის შესავალი სიტყვა. რომელშიაც მან მისცა დამსწრე საზოგადოებას ბ ნ რ. გაბაშვილის წიგნის მოკლე და დასაბუთებული პოლიტიკური შეფასება და მიუთითა აგრეთვე ხაზგასმით როგორც ქართულ ეროვნულ გახმათავისუფლებელ ბრძოლისა, ისე ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციისთვის, ამ წიგნიდან მოსალოდნელი პოლიტიკურად მავნე შედეგებზე. თავმჯდომარის შესავალ სიტყვის შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა, რომელშიაც თათბირის თითქმის ყველა წევრმა მონაწილეობა მიიღო. დასასრულს, მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლუცია:

«25 ოქტომბერს, 1959 წელს, პარიზში, პოლონელთა სახლში, ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირმა განიხილა რა ბ-ნ რ. გაბაშვილის მოგონებათა წიგნი «რაც მახსოვს»,— აცხადებს, რომ ბ-ნი რ. გაბაშვილი შეურაცყოფას აყენებს ქართველი ერის მიერ წარმოებულ გმირულ ბრძოლებს დამოუკიდებლობისათვის; ამცირებს და ჩირქს ცხებს უმზგავსო ცილისწამებით მთელ რიგ მამულიშვილთ, რომლებმაც უანგაროთ ემსახურენ სამშობლოს და თავი დასდვეს მისი თავისუფლებისათვის. ბ-ნი გაბაშვილი ამავე დროს ცდილობს გაანიავოს 1918 წელს აღდგენილი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი არსებობა და მისი საფუძვლები, შეარყიოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რწმენა საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნების შესაძლებლობისა.

თათბირი ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს და გმობს ბ-ნ გაბაშვილის ასეთ ანტი-ეროვნულ და მტრის სასარგებლო აქტს, რომლითაც მან თავისი თავი დააყენა მთელ ი ქარ თ ულ პოლიტიკურ ემიგრაციის გარეშე».

თათბირის თავმჯდომარე ნიკო ურუშაძე.

მდივანი ნ. ანთაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ მოგვითავსოთ თქვენ მომავალ ნომერში შემდეგი: ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის 1959 წ. 6 დეკემბრის საერთო კრებამ განიხილა რა, ბ-ნ რ. გაბაშვილის წიგნი «რაც მახსოვს»; ერთხმად დაადგინა:

— სამწუხაროა, რომ ჩვენი სახელოვანი მწერლის ქალ ბატონი ეკ. გაბაშვილის შვილმა, თავისი პოლიტიკური კარიერა ასეთი სამარცხვინო პამფლეტით დაასრ ულ ა.

— ავტორი ხსენებული წიგნისა შეგნებულად ემსახურება ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრების—მოსკოვის ოკუპანტების საქმეს.

— ის ტალახში სვრის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნას.

— მას პოლიტიკურ კომბინაციათ გამოყავს, ყველა ქართველი პატრიოტისათვის სანუკვარი 26 მაისის აქტი

— დამოუკიდებელი საქართველოს სამი წლის ბრწყინვალე ისტორია, მას სურს გააშავოს თავის სულივით.

— გაბაშვილისათვის, ქართველი ხალხის საამაყო შვილები, რომლებიც საქართველოს თავისუფლების წმიდა საქმეს შეეწირენ—გამცემელ-მოღალატეებია.

— და ბოლოს ბ-ნი რ. გაბაშვილის წიგნის დასკვნით კრებაში დასმული კითხვა «შეიძლება თუ არა ქართველ მა იოცნებოს დამოუკიდებლობაზედ» არის თავისთავად შემცდარი და მავნებელი.

— აოავითარი ეჭვის შეტანა!

— არავითარი მერყეობა!

— ქა რთველი ხალხი გმირულად იბრძვის ეროვნული მეობის აღდგენისათვის. ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზედ ის მუდმივ ამტკიცებდა თავის ეროვნულ ცხოველმყოფელობას და არ დაუკარგავს იმედი, რომ მოვა დრო და გარემოებანი, როცა მისი ეროვნული იდეალი განხორციელდება.

— მაშ, დიდება და დღეგრძელობა ქართველ ერს

— დიდება საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ ქართველ პატრიოტებს.

ქართული ახალი თაობის
დემოკრატიული ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება.

ხ ო შ ო.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის სოშოს ორგანიზაცია აღშფოთებას გამოსთქვამს იმ ლაჩრულ თავდასხმის გამო რომელსაც ანონიმური წერილების ავტორები ახდენენ მომქმედ პოლიტიკურ ემიგრაციის მეთაურებზე.

ჩვენი ქვეყნის მტრები არ ერიდებიან არავითარ საშვალებას, რომ მათ სახელი გაუტეხონ და მით მოშალონ მებრძოლი პოლიტიკური ემიგრაცია.

ორგანიზაცია სრულ ნდობას და თანაგრძნობას უცხადებს ჩვენს მეთაურებს.

ხოშოს ორგანიზაციის კომიტეტი.

ლ ი ო ნ ი.

თავისი ქვეყნის უბედურებით, უცხო და შორეულ მხარეებში გადასროლილი ქართველობა ათეული წლების მანძილზედ მძიმე მაგრამ პატიოსანი შრომით თავს იხახვდა და იობის მოთმინებით მოელოდა და დღესაც უცდის იმ სანუკვარ მომენტს, როცა მას საშვალება მიეცემა მტრის ულლიდან განთავისუფლებულ სამშობლოს დაუბრუნდეს და მასთან ერთად მისი ჭირი და ლხინი გაიზიაროს.

თითქმის ორმოცი წლის მანძილზედ ემიგრაციის რიგები კლდესავით მაგარი, მთლიანი და შეურყეველი იყო. მაგრამ ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზედ, გამოჩენილან ჩვენი ქვეყნის მპყრობელთა დამხმარე პროპაგანდისტები. რომლებიც ჯერ მორცხვათ «ქართველ პატრიოტთა ჯგუფის», და ეხლა რევაზ გაბაშვილის სამარცხვინო პასკვილებით წათამამებულნი,—გადემოკრატებულან—და «ქართველ დემოკრატთა ჯგუფის სახელით», ასხამენ რა ქებადიდებას საბჭოთა კავშირში მოქცეულ ხალხების ჯალათებს და ასაღებენ რა მას მშვიდობისა და ხალხთა შორის თანხმობისა, ძმობისა და სიყვარულის მოციქულათ, და ფაშისტებათ ნათლავენ ყველა იმათ ვინც ქართულ საქმეს დარაჯათ უდგას და ჩვენი ქვეყნის დიდი ჭირისუფლების დაწყებულ საქმეს აგრძელებენ.

ჩვენი სრული, ურეზერვო ნდობა და თანაგრძნობა ქართული საქმისათვის თავდადებულ მუშაკებს, ზიზღი მტრის სამსახურში ჩამდგარ, ლაჩარ, ანონიმური წერილების ავტორებს! თქვენ თუ კეთილ საქმეს აკეთებთ რას იმალებით, რატომ აშკარათ არ გამოდიხართ და არ იცავთ იმას, რასაც ანონიმურ წერილებში ჯღაბნით?

დღემდის ჩვენამდე—ლიონის სოც. დემ. მ. პარტიის ორგანიზაციამდე ასეთ წერილებს არ მოთღწევია. დღეს ჩვენი «გათვითცნობიერება და «სწორ გზაზედ» შეყენებაც მოუსურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებიათ და ზედი-ზედ ერთი და იმავე შინაარსის წერილი სამჯერ მივიღეთ.

ჩვენი აზრია, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ამას სერიოზული ყურადღება მიაქციოს. ეს ვაუბატონები საამკარაოზედ გამოიყვანოს, ჩვენ შორის ტრიალი აღუკვეთოს და გრენელის ქუჩას გადაუგზავნოს.

ლიონის სოც.-დემ პარტიის ორგანიზაცია.

შენიშვნა:

ვაძლევთ რა საშუალებას სოშოს და ლიონის ორგანიზაციებს თავიანთი აღშფოთება გამოსთქვან; პარტიის ცენტრალურ ორგანოებს თავის დამცირებათ მიაჩნიათ კამათში შევიდეს ანონიმურ პიროვნებებთან, ღრმად დარწმუნებული, რომ ქართველი საზოგადოება ზიზღით მოიხსენიებს და შესაფერისად დააფასებს ჩვენი ქვეყნის მტრებისგან მოსყიდულთა საქციელს.

ბედის ჩივილი.

... და გვირგვინი კი სწავლისა
უფროსად დედა-ენაა
მაღლიდან მომადლებული
კაცთ ზე—ამყვანი ზენაა.
აკაკი.

საქართველოს ეროვნულ ტრაღედიამ უცხოეთში გადმოხვეწა მრავალი ათეული ქართული ოჯახი, როგორც ლტოლვილის ხვედრია ისინი ჩაება მძიმე ცხოვრების პიროობებში. ყოველდღიურ უჩვეულო შრომამ ისინი სულიერად ვერ მოსტეხა, პირიქით მათ შეინახეს ქართული ტრადიცია და წესები.

შეხვალთ ქართულ ოჯახში და თქვენ იგრძნობთ საკუთარ მშობლიურ კერის სითბოს... თითეულ გადმოხვეწილ ქართველის გონებაში, გაპოხიერებული სიმაგრით ბუდობს მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული—რაც ინახავს ქართული ოჯახის არსებობას. თუ ჩვენდა საამაყოთ ქართულ ოჯახებს ღირსეულად თავი უჭირავთ,—ამ სინათლეს ერთი სიბნელე თავს დასტრიალებს, რაც თითეულ ჩვენთაგანს აწვალებს და აფიქრებს. უცხოეთში დაბადებულს დედ-მამის საყვარელ და სანუკვარ შვილს მოელის გადაგვარება. მას არ უნახავს სამშობლოს კარ-მიდამო, არ დამტკბარა კეკლუც ბუნების ხილვით, ამავე დროს იგი იძულებულია მიიღოს მისთვის აუცილებელი სწავლა-განათლება უცხო ენაზე—რაც მას აშორებს თანდათანობით ქართულ ოჯახს და საბოლოოდ შორდება ქართულ ოჯახს, რა საშვალება არსებობს ჩვენი ნორჩი თაობა არ დაეკარგოს თავის ქვეყანას?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უდიდესი იარაღია ქართული ენის შესწავლა. სამშობლო ენაზე საუბრის შეთვისება—რაც გაადვილებს მისთვის სამშობლოს წარსულისა და აწმყოს შესწავლას. სამწუხაროთ ბევრია—უცხოეთში დაბადებული ქართულად სალამს ვერ მოგცემთ, ორ სიტყვას ვერ მოაბრუნებს. არ ერთი მშობლები განიცდიან ამ მხრივ გულისტკივილს და გამუდმებით ერთი-მეორეს შესჩივიან. მაგრამ საამისოთ მიღებული ზომები ადრე რჩება მიტოვებულ-მივიწყებული. მართალია ცხოვრების პირობები მძიმეა, ოჯახში შეუძლებელი ხდება ქართული გაკვეთილების მიცემა, მაგრამ ოჯახში ქართულ საუბარსაც დიდი მხიშვნელობა აქვს და მშობელთა უწმინდესი მოვალეობა არის გამუდმებით მოაგონონ ბავშვს მშობლიური ენა. საზოგადოებას, სათვისტომოებს ხომ აწევთ დიდი მოვალეობა ამ მხრივ. განა ეს არაა უაღრესად პატრიოტული მოვალეობა? არ იქნება ზედმეტი უცხოეთში მყოფ ქართულ საზოგადოებამ სისტემატიურად მოაწყოს ქართველ ბავშვთა შეხვედრები, სადაც ისინი გაეცნობიან ქართულ წესებს და ადათებს. უმთავრესი ცხადია—წერა-კითხვის შესწავლაა. ორგანიზაციული მხარე—მოითხოვს ნივთიერ საშუალებას. მაგრამ როცა ემიგრაციაში იბეჭდება მავნე წიგნების გამოსაცემად იხარჯება ასი ათასები, განა უკეთესი არ იქნება იგი ასეთ პატრიოტულ საქმეს მოხმარდეს?..

ქარიოველი დედა.

ქართველობა უცხოეთში.

საქართველოს საკითხი

ამერიკულ კონგრესის ქვე-კომისიაში.

ამა წლის იანვრის პირველ რიცხვებში ამერიკის კონგრესის ერთ-ერთ ქვე-კომისიამ, რომელიც მასალებს აგროვებს ხრუშჩოვის პოლიტიკის შესახებ დაპყრობილ ერების და მათ შორის საქართველოს მიმართ,—ვაშინგტონში მიიწვია მოხსენებისათვის ჩვენი თანამემამულენი ბ. ბ. გიორგი ნაკაშიძე და გივი ზალდასტანიშვილი. ბ. გ. ზალდასტანიშვილმა კომისიას მოახსენა 1956 წლის მარტის სტუდენტების გაბოსვლაზე და მასალებისა და კერძოდ საქართველოდან მიღებულ ცნობების მიხედვით დაამტკიცა გამოსვლების წმინდა ეროვნული ხასიათი. ბ. გ. ნაკაშიძემ ილაპარაკა ვრცლად ბოლშევიზმის საერთო პოლიტიკაზე ერების და კერძოთ საქართველოს მიმართ.

ჩვენ თანამემამულეთა მოხსენებებს ვრცლად გავეცნობით, როდესაც გამოვა კონგრესის ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკომუნისტური ბლოკის კონგრესი.

ქ. მონტევიდეოში (ურუგვაი) შარან 27-29 ნოემბერს შესდგა პირველი კონგრესი ანტიკომუნისტურ ბლოკში მყოფ 16 დაპყრობილი ერების წარმომადგენლებისა. როგორიცაა: ალბანეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ბულგარეთის, ხორვატიის, სლოვენების, ესტონეთის, საქართველოს, უნგრეთის ლიტვის, ლატვის, ჩრდილო კავკასიის, რუმინეთის და სხვ.

ქართველებიდან დაესწრო საქართველოს რესპუბლიკის უცხოეთში გამოხიზნული მთავრობის წარმომადგენელი

კონგრესის სხდომის დიდ დარბაზში ფრიალებდენ ზემოდ ხსენებული ქვეყნების ეროვნული დროშები. და მათ შორის ქართული ეროვნული სამფეროვანი დროშაც.

ამ კონგრესს დიდი ყურადღებით გამოეხმაურა ურუგვაის თავისუფალი პრესა და საზოგადოებრივობა. აუარებელი წერილები, სიტყვები და ფოტოსურათები გამოქვეყნდა რესპუბლიკურ გაზეთებში.

კონგრესის დელეგატები საუდიენციოდ მიღებული იქნენ რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრებისა და ეკლესიის მეთაურთა მიერ.

კონგრესის სხდომაზე წაკითხული იქნა მოხსენებები, რომელთა შორის, იყო კომუნისტების მიერ დაპყრობილ საქართველოს შესახებაც. კონგრესმა გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს კომუნისტურ აგრესიას ამ ქვეყნების მიმართ.

კონგრესის სარედაქციო კომისიის მიერ გამოცემული იქნა მოწოდება კომუნისტების მიერ დაპყრობილ ერების წარმომადგენლებისა, და ქარტა იმ ქვეყნებისა, რომლებიც დაპყრობილი არიან კომუნისტური იმპერიის მიერ. მოწოდება და ქარტა გამოცემულია ესპანურ ენაზე.

წმ. ნინოს დღე.

კვირას 31 იანვარს, შვედელთა დარბაზში ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის და ქართულ ეკლესიის მრევლთა საბჭოს მიერ გადახდილ იქნა წმ. ნინოს დღესასწაული—თბილისის 1.500 წლის თავის საზეიმო საღამოს გამართვით. დადებითად უნდა ჩაუთვალოთ მომწყობთ ამ ორ უდიდეს ისტორიულ მოვლენათა დაკავშირება.

საღამო გახსნა მამა ილიამ შესაფერის, ღრმა შინაარსიანი სიტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმის თავმჯდომარის ბ. გ. კერესელიძის მოკლე შინაარსიანი სიტყვის შემდეგ, ფრანგულ ენაზე მოხსენებას აკეთებს თ. ნასყიდაშვილი. რომელიც ვრცლად ეხება თბილისის წარსულს და მოჰყავს მისი ცხოვრებიდან საინტერესო ცნობები. პირველად არის, რომ ვხედავთ ამ ახალგაზდას თავის ნაშრომით საჯაროთ გამოსულს. გულწრფელად უსურვებთ გააგრძელოს კვლევის დარგში ნაყოფიერი შრომა.

ბ. მ. გრიგოლიამ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: «თბილისი თანამედროვე ქართულ პოეზიაში». მომხსენებელმა მკაფიოდ და მჭერმეტყველურად გადმოგვცა ჩვენი კლასიკოსების და თანამედროვე სახელოვან პოეტების შემოქმედებიდან თბილისზე მიძღვნილი ნიმუშები, რომელთა განხილვით მომხსენებელმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

თბილისზე მიძღვნილ ლექსით ჩვენმა პოეტმა გ. ყიფიანმა აღაფრთოვანა დამსწრენი.

დასასრულ ეკრანზე ნაჩვენები იქნა დედა-ქალაქის და საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ადგილები.

დამსწრე.

ერასტო ურუშაძე.

წავიდა ერთი უკანასკნელთაგანი ცხრაასიან წლებიდან გურიის მოძრაობის აქტიური მონაწილე და საიმედო თანამებრძოლი.

ერასტო დაიბადა ლანჩხუთის საზოგადოების, სოფელ ორაგვეში ღარიბი გლეხის ოჯახში, მამამისს ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა. ერასტო მათში ყველაზედ უფროსი იყო. წვრილშვილიანმა ოჯახმა ის ადრე მოსწყვიტა შკოლას და სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ჩაება, რომ უმცროსების აღზრდაში ოჯახს დახმარებოდა. ერასტო პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას უმცროსი ძმების წინაშე, რომელთაგან უმრავლესობამ ლანჩხუთის სამოქალაქო შკოლა დაამთავრეს, და ერთი მათგანი ერთ მახლობელ სოფელში პირველდაწყებით შკოლაში მასწავლებლობდა.

მთელი ოჯახი სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი და მისი მესაიდუმლე იყო. მისი სოფელი ჯუმათის მონასტერზედ მიმავალ გზის მაღალ მთებშია უკანასკნელი, ამიტომ თუ რამე დასამალი, საიდუმლო შესანახი იქნებოდა: კაცი, ლიტერატურა, თუ იარაღი, მისი ოჯახის საშვალებით მასთან ინახებოდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციას ჩაეგდოს ხელში მათთან არალეგალურად მცხოვრები ამხანაგი, ან მიბარებული საიდუმლო საგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ძმა—ლუკა, რომელთანაც ერთად საფლავში განისვენებენ დღეს, იყო მთელი გადმოღმა გურიის საიდუმლო ფოსტის მიმღები ლანჩხუთის სადგურზედ, და დანიშნულებისამებრ დამრიგებელი. ის იყო ამავე დროს ლანჩხუთის სამკითხველოს გამგე და პარტიული ორგანოს პასუხისმგებელი და ლიტერატურის გამვრცელებელი ლანჩხუთის რაიონში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ისინი ყველა ჩაებენ სათემო აღმშენებლობით მუშაობაში, ერთი მათგანი —ირაკლი—გურიიდან «თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის» განკარგულებაში გაგზავნილ რაზმში, უფროსი ნაცვალის თანამდებობით, იარაღით ხელში იცავდა ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი ქვეყნის ხელახალი დაპყრობის შემდეგ ერასტო ჩაება ისევ არალეგალურ მუშაობაში და 24 წლის აჯანყების აქტიურ მონაწილეს შემოაკვდა მისივე სოფლის კომუნისტი, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მას.

აჯანყვბის დამარცხების შემდეგ—გულდამწვარი, ის იძულებული იყო მიეტოვებინა საყვარელი ცოლშვილი და სხვა მრავალთან ერთად გამოხიზნულიყო უცხოეთში.

აქ ის, როგორც საქართველოში, პატიოსანი ფიზიკური შრომით ინახავდა თავს ღრმა მოხუცებულობამდე.

ბოლოს ერასტო გადავიდა საცხოვრებლათ პოლიტიკურ გადმოხვეწილთა თავშესაფარში აბონდანში, სადაც ის გარდაიცვალა გასული წლის 21 დეკემბერს.

მეგობრების და ამხანაგების მიერ გადმოსვენებული და დასაფლავებული იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზედ—თავის ძმა ლუკასთან ერთად.

მსუბუქი იყოს უცხო მიწა შენთვის, შენი ქვეყნის წინაშე პირნათლად ვალმოხდილო მებრძოლო.

მეზობელი.

გ. გომელაური.

ქალაქ ბუენოს-აირეში (არგენტინა), 1959 წლის დეკემბერში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა არგენტინაში მცხოვრებ კავკასიელთა გაერთიანების თავმჯდომარე პოლკოვნიკი გიორგი გომელაური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია წეროძე.

ივნისის პირველ რიცხვებში მიუნხენში გულის დამბლისგან გარდაიცვალა ქართველი ემიგრანტი ილია წეროძე. მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ტყვეობაში მოხვედრილი. ის დარჩა გერმანიაში, მიუხედავად იმისა რომ იყო ფილტვებით ავადმყოფი და ხედავდა, რომ სამშობლოს ნახვას ვერ ეღირსებოდა. ის ცნობილი იყო არაჩვეულებრივი თავდამბლობით და ეწეოდა პატიოსან შრომას, რამდენადაც მას სუსტი ჯანმრთელობა ამის ნებას აძლევდა.

დასაფლავებას დაესწრო გარდა მიუნხენის ქართველობისა განსვენებულის პატივისმცემელი გერმანელი მშრომელებიც...

თანამემამულეების სახელით გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა გერმანულ ენაზე ნიკო იმნაიშვილმა.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

შემოსწირეს:

ამერიკიდან ის. გაჟონია (ტ. წულაძის ხელით)	10	დოლ.
,, გ. ჯაყელი	5	დოლ.
რ. არსენიძე	12.000	ფრანკი.
მ. იმნაიშვილი	90	გერ. მარკა
ნ. იმნაიშვილი	40	გერ. მარკა
სოშ-ის ორგანიზაციიდან	8 000	ფრანკი.
პარიზიდან: გრ. ბარამიძე	3.000	,,
,, იოსებ ცინცაძე	2.000	,,
,, დ. მუ[illegible]ირი	1.000	,,
,, პრ. ინწკირველი	1.000	,,
,, ნ. ბედელიძე	1.000	,,
,, ვ. კიოტავა	1.000	,,
ლევილიდან	800	,,

სულ 15 დოლარი, 130 გერ. მარკა და 29 800 ფრანკი.

«ჩვენი დროშის» გამოწერა შეიძლება შემდეგ ხისამართზე

M-r Berichvili

16 b's. rue Jules Ferry. Leuville s/org

(S. et O.) France.

შემოწირულებაც უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართზე.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.